

K 85 383
5



ქართველი
ახლოური
კულტურის

Pisavze 
gruzińscy
-Polsce



Wybitny poeta gruziński Paolo Jaszwilli napisał: „Polsce—Wiersz niespodziany”. W wierszu tym poeta zachwyca się „majecznym narodem”. Wiersz przepojony wielkimi ideami przyjaźni między narodami.

Georgi Leonidze, znakomity poeta był w Polsce w 1955 roku. On ozdobił grób Adama Mickiewicza czerwonymi różami. W wierszu „Adamowi Mickiewiczowi” G. Leonidze zwraca się do wielkiego poety polskiego i zapewnia go, że Jego nieśmiertelne słowa życia będą wiecznie w sercach narodu gruzińskiego.

Znany poeta Simon Czirkowani napisał pod wrażeniem podróży w Polsce cykl wierszy, zaczynający się wierszem „Na polskiej drodze”. Z wielką miłością opisuje poęta-krajobrazy polskie, ludzi polskich i ich bohaterską pracę.

Tejmuraz Dżangułaszwili walczył w czasie Wielkiej Wojny w Obronie Ojczyzny na ziemi polskiej. W swych wierszach „Na polskiej drodze”, „Pożegnanie z Polakami”, „Ludzie z Tbilisi we Wrocławiu” i „Polska”—poeta wspomina te ciężkie dni, kiedy on razem z polskimi braćmi bił się za wolność Ojczyzny.

Tengiz Gogołaszwili w opowiadaniu „W parczewskim lesie” opisuje walkę polskich i gruzińskich partyzantów.





Pisarze gruzińscy -Polsce



Wydawnictwo
Sabzota Sakartwelo"
(Srużja radziecka)
Tbilisi 1959

8СГ-1 + 8СГ-3



ქადაგელი

არა რ ა გ ი

ქოლონი

185.383
3



სახელმწიფო გამომცემლობა

«საჯროი საქანისექტო»

თბილისი

1959



კარლო ბახვილა

შეცარი ლიტსი — პოლონიის

ზღაპრული ხალხი! გრძელებული ერა!
 აქ პოლონეთი — წმინდა მხარეა!
 თქვენ გითენდებათ დღე ბედნიერი
 და თქვენთან ერთად ჩენც გვიხარია.
 მიცავიჩის რაში არ უძნელდება
 ნახვა სწორის და გაწმენდილ გზისა,
 და სლოვაციისთვის არ დაბნელდება,
 თუ მოხვდა დროშას ისარი მზისა.
 როგორც შოპენი, თქვენთვის დამწერი,
 ისე ნაზა დღეს თქვენთან გული,
 და თქვენს ზეიშში ჩენი ხშაც არი
 თქვენთვის დიდებით ალელუებული.
 გვსურს ვიამაყოთ ძველ სახელებით
 და ახალ სისხლით ვნაშოთ ყანები,
 მწარე იარებს ნაზი ხელებით
 დაგვამებენ თეთრი პანები.
 და როს თქვენს გვირგვინს, ერის სამყარელს,



შემოეხევა მწუხარე თალზი,
ძველი ვარშავის დიდ დღესასწაულს ჩაიხდით
ჩვენ ისე ვიგრძნობთ ვით თქვენი ხალხი.
ქართველი ერი და პოლონეთი —
ორი გვირგვინი და ორი კვნესა!
ჩვენ გვაწვალებდა ოცნება ერთი
და ჩვენ მოეელით ერთნაირ მზესა.
ჩვენ ერთად ველით და მაღა გვინდა
ახალით მორჩივა მზით მთაველისა!
ამაყო ძმებო! სალამი წმინდა!
სალამი გრძნეულ რუსთაველისა.

1917 წ.

მიწადი ლარცე

აღამ მიტკევის

როცა წითელი ვარდი დაფაყარე აღა,
 მიცეკვისას საფლავს კრაკოვში, 1955
 წლის 25 ნოემბერს, ქართველი ერის
 სახელით, მაშინ ვთქვი ეს მცირე ცესა-
 რომტი.

ვეღარ ნახე საქართველო,
 შენებრ მტრისგან გათანგული,
 მაგრამ შენმა მკვეთრმა სიტყვამ
 ნახა ჩემი ხალხის გული.

აქ იმ ხალხმა გამომგზავნა,
 ამირანის მთების შეილი,
 რომ ჩაეაწნა შენს გვირგვინში
 ქართლის ვარდი წითლად შლილი, —

უჭირობელი ძმობის ვარდი,
 უცდავ დღეთა გაზაფხულზე...
 დე, ეს ვარდი სულ ჰყვაოდეს
 პოლონეთის მფეთქავ გულზე!

პოლონეთის დიდი პოეტი ადამ შილევიჩი გულალზებით მიიჩინა -
 და კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, შავრაში იმპერატორმა ნიკოლოზ
 პირველმა პოეტს საქართველოში ჩამოსვლა სასტიკად აუკრძალა. შილ-
 ევიჩის რომ საქართველო ენახა, „საქართველოს სონიერებს“ დაწერდა...

ტეოზე ნიერვაცი

პოლონეთის გზაზე

I

წუხელ ცრიდა წერილი წეიმა,
 მატარებლით წამყეა ქარი.
 წუთით წვიმა მომეწყინა,
 მერმე დაწვა თოელი მშრალი.
 ბოლთას ვცემდი. არ მეძინა,
 წინ გზა მეღო საფიქრალი.
 არ მიგრძნია წუთით დალლა,
 წიგნს ვფურცლავდი თუ ცხოვრება?
 ჰგავდა დღის და ღამის გაყრა,
 გზაზე და-ძმის განშორება.
 ცას გაეკრა ცისკრის რეალი
 და სიმღერა მოსწყდა ბაგეს.
 გაწაფული მთებში თვალი
 ეჩვერდა უცნობ ვაცეს.
 საგზად ერთი ფიქრი მქონდა

გულს საესე თასს ვადარებდი.
 ფიქრი თითქო შინ მიქროდა,
 წინ მივქროდი მატარებლით.
 ერთი პირი ძილი მაყლდა,
 სიყრმის დროდან მაყლდა ოლბათ,
 რადგან მთებში გზა მიყვარდა,
 მთის ნაკადულს ესვამდი ხარბად.
 მასპინძელი ბევრი მყავდა,
 მთის ყვავილი თუ ნიბლია,
 და სამშობლოს გზების გარდა
 მე სხვა გზებზე არ მივლია.

დღეს ახალი გზა გაიჭრა,
 ბუჩქები ჩანს თუ შოლტები.
 თუნდ განველიო ცხრა მთის მიგნა,
 მამულს არსად დავშორდები.
 ზამთარია, რელსებს გაერულს
 დასდებია თხელი თოვლი.
 აღრე მოვწყდით ბრესტის სადგურს
 და არსად ჩანს მთების ზოლი.
 გზას ვუმზერ და გავილურსე,
 თვალშინ შრება ორთქლი მინდერის.
 მე ვშორდები მოძმე რუსეთს.
 საბჭოთა მთის ერთი მციდრი.

ვით მთის ყვავილს, ფიქრს ვუგზავნი
 და შორს მივქრი გზაზე მგზავრი.

შინ დავტოვე მთა და ბორცვი,
 ხევი, კორდი, ქლდე და ზვარი,
 ქედმალალი და თან მორცხვი
 და ურიცხვი ცისკრის ცვარი, —
 მთაში წყარო მოჩახჩახე,

მთის ჩანჩქერის ვერცხლის თმები
 და ამ გზიდან თუ გაეძახე,
 დამეწევა საღმე მოები.

პოლონეთის გზაზე გავიღ,
 თვალს გზის ზოლი ჩაეღობა.
 ნამეხარ ველს წყლული მშვავე
 ატყვევა და ორც ეტყობა.
 რა გრძელი გზა გაუკაფავს
 საბჭოთა გმირს ვოლგის კიდით.
 აფამლს აცლიდა სახლს და აკვანს
 და გამკიდა ძმისთვის ხიდი.
 მეც იმ ხიდზე გზას მივყვები,
 ძმაო, ძმაო, მაგონდები.
 ნისლში დარჩა ომის წლები,
 ახლა მიქრის ვაგონები.
 მიქრის, როგორც სიყმაწეილე,
 და ორ მხედება მთა-გორები.

მივყრდნობი სარკმლის კიდეს,
 ჯერ შორს არის ხიდი ვისლის.
 მატარებლის სველა შენელდა
 და საზღვრიდან სტენა ისმის.
 კუპეს აღებს საზღვრის მცველი,
 გვთხოვს, ვაჩვენოთ პასპორტები,
 შეამოწმოს ზრახვა წრიფელი,
 გადავცემ და გავსწორდები.
 გადავცემ და ვაუკაცს ეუცქერ,
 როგორც თვალწინ შემდგარ მხედარს.
 გადახედავს პირველ ფურცელს
 და მერმე მე გადმომზედავს.
 შევაგებებ წმინდა ლიმილს,
 შორს გუმანით ვიხედები.

ჩემს საბუთში ნათლად ღვივის
გაღმელ მოძმის იმედები.
ჩემს პასპორტში აღმეცელილა
ცისარტყელა თუ ტყეს ზოლი,
აფრენილი მთებზე დილა
და ურიცხვი ქვეყნის ხომლი.
თვალს გავუყრი თვალში გუშაგს,
ფიქრი ფიქრში შეიტრება,
საბუთს შლის თუ ხალხის გუჭარს!
და ჩემს ფიქრს არ ემიჯნება.
თვალს მაპყრობს თუ ფართო საცერს,
გულის ნადებს აღარ ფარაეს,
და საბჭოთა პასპორტს დასცერს,
როგორც მოძმე ხალხის ბარათს.
ეს გზა არ ჰგავს გზას აღრინდელს,
ეს წიგნაყი ნათელს მიფერს,
გაღმა მოძმის თვალს ამდიდრებს
და მე მივსებს გულის ჯიბეს.
პოლონელ ვაუს გრძნობას უთბობს,
ჰგვრის სიხარულს თვალად ჭაბუქ.
იგი უმშერს და გზას უთმობს
მოძმე ქვეყნით მოსულ საბუთს.
მიბრუნებს და მაცნობს მხარეს,
თავდაცერას ლიმილს ურევს,
ფართოდ აღებს ქვეყნის კარებს
და მშეიდობის გზას მისურვებს.

მივქრით, მესმის „გზა შშეიდობის“,
ეს ხმა მტრის ხმას ეჭიდება.
ხალხში, როგორც თესლი ხორბლის,
ტანს იყრის და ჯეჭილდება.
შშეიდობის ხმა ებრძვის დოლარს,
ვერ შეაკრთობს ნაღმის ყეფა.

ფხენიანში კერა ბოლავს
 და გზა ომის ამბავს პყვება.
 სიღ ლვივდება სანძრის ლველუ,
 ფიფქი სწყდება ცას ირაოდ.
 თეთრ სახლში ქრის ომის ფერფლი,
 როგორც ფიქრი უბინაო.
 აქ კი შრომა არ ნელდება,
 ფერფლი ბუდეს ვერ იშოვის,
 შენდება და დამშეენდება
 გზა შრომის და გზა მშეიღობის.
 თოვლს გაუცურებ ფართო საჩუმლით.
 ჩაუქეროლეთ გაშლილ რიცეს,
 და მგონია, ყველა სახლი
 მობრუნდა და კარებს მიღებს.

ჭამომდგარა გლეხი ადრე,
 თვალი თითქო ეხილება,
 გრძელ ულვაშე თოვლის ფანტელს
 იშორებს და ელიმება.
 წყლულს იშუშებს მთელი კუთხე,
 ოფლით მორწყავს ყამირს მსუყეს.
 გლეხი, მინდვრის მეჩეუქურომე,
 ხვალ ჯევილით გვიპასუხებს.
 თესავს ხორბალს და წერილ შერიას,
 ეს სიცოცხლე შრომად უღირს.
 შორით ვისმენ ყანის შრიალს
 და გუშინდელ ოფლის დუღილს.
 სახლში ზევე არ გრძნობს ტკიეილს,
 არ ეხშობა ლანძღვით უური.
 ორთქლმავალი გზას მიპირის
 და მგზავრს მიმზერს მექომური.
 მეგზურობას მუშა უწევს,
 თვალს შორდება თოვლის ფრთილა,

და მშენდობის გამლილ ფურცელს
 სოფელში პგაცს ზამთრის დილა.

არ მეგონა, თოვლის იფქლი
 რომ თვალს აგრე გაართობდა,
 მოფრიალე თეთრი ფიფქი
 ამდენ გრძნობას დამათოვდა.
 ახალ გზაზე მიქრის ფიქრი,
 ფიქრის არე გაფართოვდა.
 გზას ვკერავ და ვლანდავ ნაწილს,
 სოფლის გზას თუ დაბალ ოლეს.
 არყის ხე პგაცს ქერა ყმაწვილს,
 ჩაურბენ და ჩაგიქროლებს.
 თოვლს დანათის თეთრი ქერქით,
 პგაცს რუსეთის პირველ შიკრის.
 მე არყის ხეს თოვლში ვეტრით,
 რტოს მირხევს და გზაზე მიქრის.
 არ ატყვია ნისლის ბადე,
 მტერმა არყი ვერ დაბინდა.
 მოსკოვიდან ვაჩშავამდე
 ფიქრი ყველგან გადაფრინდა.
 გადაშორდა საზღვრის მიჯნას,
 შორს მიჰყება არყის ნათელს,
 და სამშობლოს მიღმაც ვხედავ
 ჩემი ქვეყნის სიღადეს.
 გავათენე თეთრად წუხელ,
 განვვლე წლები და მინდვრები,
 პოლონეთის ყანას ვუმღერ
 და არყის შუქს ვეწინდრები.

II

სადგურს ვუმშერ მატარებლით,
 მეგობარი რამდენია.

გარდებს ყრიან პატარება,
 გარდი გულშე დამფენია.
 დამფენია ფიქრი წმინდა,
 გზაშე ღია ჭიშკარია.
 ჩემს კუპეში შემოფრინდა
 მეშახტე და მიხარია.
 ბოლიშობს და მერიდება,
 ოფლს იწმენდს და ჩამოჯდება.
 არ შეხედება შებინდება,
 მზე სარკმელში გამოჩნდება.
 მუშამ იცის ძმობის ფასი,
 გულს მიხსნის თუ ეარდის ბუტყოს.
 მეგობრობის წრფელი ასრიც,
 როგორც ბარტყი, გულში ბუდობს.
 ვესიტყვები ქვეყნის გუშაგს,
 ვბაასობთ და ვწევთ თამბაქოს,
 და ვისლისკენ მგზავრობს მუშა,
 რომ პრეზიდენტს უპატაკოს.

ჰყება, როგორ იღებს ნახშირს,
 შახტში ღამეს როგორ კაფაეს,
 როგორ ართობს ბავშვებს სახლში
 და კითხულობს ვოლგის ამბავს.
 მეც არ მინდა შეჩერება,
 გულში გალობს ტალლა ვოლგის.
 მოეუთხრობ და მეჩვენება,
 ცალი ტოტი ჩემსაენ მორბის,
 მეწევა თუ თან გამომყვა,
 შორით ვხედავ შრომის გმირებს.
 მატარებელს მოსდევს ტალლა,
 თუ მივყვები ვოლგის პირებს.
 ვოლგა, ვოლგა, ყანის დედავ,
 კალთას შლი თუ მსუბუქ ქვიშას ?



შენს ნაპირზე ერთ სახლს ვხედავ, არა კარგად
 როგორც ქვეყნის ახალ ქიშქარს და მიმდინარე
 შენს სათავეს მასთან ვეძებ,
 სახლის კარი ნათელს გვაუებს.
 მე ვიგონებ პირველ ფუძეს
 და გაფრენილ ცისფერ იფრებს.
 მომყევ, მომყევ, ცოლგის მხარევ,
 შორს ვისლამდე მიმაცილე.
 ცოლგის სივრცე შევიყვარე,
 ცოლგის სუნთქვა ვინაწილე.
 მალე მრავალ კაშხალს ენახავ,
 არ შემხვდება შებინდება.
 სტრიქონს არხის ჩქერზე ეჩარხავ,
 და ზედ მტრედი შეფრინდება.
 შორს გავყურებ გმირულ რესეთს,
 შუქს მღინარე გულზე მაქმევს.
 ცოლგის ტალღით ვასაბუთებთ
 მშვიდობის და ძმობის საქმეს.
 მოძმის სულში ეჭირ გალალვა,
 თვალს არხიღდან აღარ თიშავს,
 მეფერება ტანზე ტალღა
 და თმაში ვგრძნობ ცოლგის ქვიშას.

არ ვისსენებთ ძველ სატყივარს,
 მხარე ფერფლით ნაფერია,
 მე მთელი დღე გზას ვადგინეარ,
 გზაც, ვით სულრა, გამფენია.
 შუა გატესა მუშამ პური,
 ჯამით ღვინო დამზენია.
 რა კარგია სულრა ძმური,
 გულში გრძნობა რამდენია!
 მაღლეგრძელა სიესე ჭიქით,
 გული გახსნა მეზობელში

და ჩემს გრძნობას მოძმის ფიქრი
 კარს უდებს და ეზომება.
 ნამდვილ მშრომელს შევეყარა,
 ყანა არსად ეგვალება,
 გარჯაშია მთელი მხარე
 და ჩემს მამულს ემგვანება.
 გზა გრძელდება კვლავ ვაჟეზე,
 შუადღე გახდა შუა გზაზე.
 უბის წიგნი გადავდეს,
 წუთით კუპე გადავრაზე.
 მივჭრი, არ მაქეს გულში ბზარი,
 ვხედავ სახლზე ასულ სუროს,
 და მეზობლად ერთი მგზავრი
 მიცემიჩის ლექსს კითხულობს.

ლექსის ბრწყარი გულში მივლის,
 ვუწყვილდები მგზავრის მლერას,
 ვუბრუნდები ფიქრით თბილისს
 და გაფრენილ ფუძის მერანს.
 ჩემს მთაწმინდას თვალი ვკიდე,
 ყვავილს მირჩევს ტოტი ნუშის,
 მე ძველ უბნებს განვერიდე,
 ახალ თბილისს კწედები გულში.
 მთაზე მუხა ჩეროს იფებს,
 შორით, შორით ვტკბები მზერით.
 შენ აღმზარდე, შენ გამწაფე,
 შენი წყარო გულში მლერის.
 ქვის მთლელი წერს ქვაზე გუჯარს,
 ქუჩა არ ჰვავს კინტოს კილოს.
 ვუმზერ ვაგზლის გაშლილ ქუჩას
 და მტკვრის ახალ სანაპიროს.
 შორს ვავყურებ ივრის კაშხალს,
 ზღვად იტკის მლაშე ტბები,

და თბილისის ფრთხების გაშლას
 შორი გზიდან ვეხოტბები.
 დილის ცვარი თორს ვთხოვე,
 მხიბლავს მოლის სისალუქე,
 იქ პირველი ცეცხლი ვპოვე,
 ქვეყნის გზა და სიჭაბუქე.
 მთელს ავშირში ჩემი უთხე
 ერთი რტო თუ წიბური?
 ჩემი გულის მესაკუთრე
 მთებში მღერის მოწიფული.
 მსურს საშობლოს გეგმებს გავწედე,
 ვიშრომო და ოფლი ვლეარო,
 მთის ორწოხში არსად დავწედე,
 არ ამოვშრე მთებში წყარო.
 მთაზე სხივი მეკრა გარსად,
 რძე შემასვა მთის ბალახმა,
 და შორს არ ვარ მისგან არსად,
 თუ გინდ ვიყო ცხრა ზღვის გალმა.

მატარებლით მივქრი აგრე,
 ფიქრი, მგონი, გზაზე მიქუხს.
 ენაცვლება ვაკეს ვაკე
 და ჯიხური ისევ ჯიხურს,
 გზამ ამიტო ხმებით მკერდი,
 ბუჩქები ჩანს თუ შოლტები?
 თუნდ განველიო ცხრა მთის ქედი;
 მამულს არსად დავშორდები.
 მივქრი, ვგავარ ლამის მთევარს,
 შეუხორცდა მხარეს წყლული.
 პოლონეთის გზაზე ვდგავარ
 და გავტეხე ძმობის პური.
 ესეც ჩემი საბუთია.

გზა მშეიღობას გაუთბია,
 გუშინ სისხლით რომ გაპოხეს.
 მოძმის მლერა ფიქრში ჩამყეა,
 გული ამ ხმას ეტანება.
 გულს ჩამოჰყეა ვოლგის ტალლა,
 როგორც შრომის ნეტარება.
 წინ გამოჩინდა ვისლის ქბოდე,
 არ აჩნია მტრის ქედაფი.
 ჩემს თანამგზავრს ძმა ვუწოდე
 და მდინარეს დას ვეძახი.
 მიუქრი, მიუქრი, გაქრა ბინდი,
 გაფანტულა ნისლი ვისლის.
 გადვიქროლეთ გრძელი ხიდი
 და გალმიღან სტენა ისმის.
 წილმა ბრუნავს ქვეყნის ჩარხი,
 შუქი იდგას გაშლილ რიყეს,
 და, მგონია, ყველა სახლი
 მობრუნდა და კარებს გვიღებს.

პუშკინი და მიცვალები

პუშკინმა რომ განცლო მღეთი,
 ბინდი აწვა ხეობაში ჭალაქს.
 ძირს არაგვი დუღდა თეთრი,
 და უმღერა მომხიბლავ ხმით არაგვს.

მთები წყლებით ნაჭდევია,
 მაშინდელი წყლის ყიდინი მესმის.
 სამხედრო გზას დამჩნევია
 მგზავრის ხმა თუ ანარეკლი ლექსის.

მგზავრის მღერა როგორია?
 შევეჩივიე, ვით მწევერვალზე, ნათელს,
 და პუშკინის ხმა, მგონია,
 მთებში ჩარჩა და ლამეებს ათევს.

მიცვევის ვერ შევეყარე,
 თურმე აღრე გაჭრილიყო ყირიმს.
 ყურს უგდებდა ჩემი მხარე,
 როგორც მთაში ცალი ირმის ყვირილს.

კუმიშვილი?
 ხალხს შესწირა გული უხეი,
შორით ჩაწვდა ჩემს მგალობელ პაპას,
 და ურხევდა სიო მწუხრის
 ლომის მხრებზე გადმოფენილ ფაფარს.

მე ვიგონებ ორ მეგობარს,
 ნევის პირად გაუცლიათ მგონი.

ნაბიჯს ეისმენ თუ საუბარს...
 და მდინარის მღერა მესმის ორი.

თავზე მადგას ჩერთ ფიჭვის.
 ნევას ეუმშერ თუ შეცყურებ მყინვარს.
 პუშკინის და მიცეცეიჩის
 განელილი გზის გახსენება მიყვარს.

პირველს დასცეს გულში ტყვია,
 მეორე კი შინ წაწყდა ნაპრალს.
 ხალხმა გულში ჩიიხვია, ჭ
 არ დაუთმო მათი ხმები საფლავს.

დღეს ეისლასთან ქვაზე ეზიეარ,
 მდინარის ხმა ჩამიტესედა გულში.
 მშეიღობის და შრომის გზაზე
 ისევ ვპოვებ მიცეცეიჩის და პუშკინს.

ნევის პირად რევაეს პწყარი,
 საქართველოს მთებს მოშორდა ბინდი.
 მღერის გზაზე მღერის მგზავრი
 და არაგვით ეისლამდე ჩანს ხიდი.

მასპინძელი დგება ეისლით,
 გულს ავსებულს ხალხს თასიეთ აწედის,
 მზემ დაუღნო მხრებზე. ნისლი
 და შეცყურებს შორს აფრენილ არწივს.

პოლონეთის დღე ფრთებს ისხამს,
 ხმა მქუხარებს გლეხეაცის და მუშის.
 უხარის და, ვით ცისქარს,
 მიცეცეიჩი შინ მოუხმობს პუშკინს.

შოპენის სოცლისაძენ

მე პოლონეთის შარაზე მივქრი,
 ჩანგზე თქმულებას ვუამბობ შოფერს;
 თოვლმა მინდორი დაფარა თითქმის
 და თოვლში ვეძებთ შოპენის სოფელს.

მანქანის შუშას აჩნია ბზარი,
 გზაზე მაღალი ცაცხება ბევერი,
 შენ, შორეულო, დარეკე ზარი
 და გუშინდელი დაშვრე ცრემლი.

თოვლი დაღნება, გაქრება ფილები,
 მინდვრად მთესეელი მარცვლეულს მოპუენს.
 ახლა შშეიდობის შარაზე მივქრი,
 ვუახლოედები შოპენის სოფელს.

რტოზე ყინული მაგონებს მტევანს,
 ჰაერს ზარივით ჰქიდია ჰანგი.
 მე პოლონეთის დიდ გზაზე ვდგევარ
 და გულში რეკავს ქართული ჩანგი.

ვწუხვარ, მე სმენა არა მაქეს წმინდა,
 ვერ დავემგვანე მომლერალ მშობელს.
 მე, ჩამოსული შორეულ მთიდან,
 ვუახლოედები შოპენის სოფელს.

გული მიაგავს აღრინდელ საკვესს,
 ეგებ აფრინდეს პატარა ლექსი.
 მინდა სიმლერა ხალხის ხმას აჰყეს
 და შოპენივით გაიდგის ფესვი.

მაგრამ მე სმენა არა მაქეს კარგი,
როგორ დავუდგე შეგირდად შოპენს.
მოველ და თოველზე დაფრინავს ჰანგი,
და ვერ ეშორდები შოპენის სოფელს.

ურალელი გრიგოლ კუნავინი პოლონეთში

ურალელმა რეინიგზელმა კუნავინმა სო-
ფელ გერასიმოვიჩში გაიმეორა მატრი-
სოვის გმირობა. იგი დაასაუღავს გერა-
სიმოვიჩში და ექაურ სოფლის სკოლას
მისი სახელი მიენიჭა.

პოლონეთში სოფელია ერთი,
ეწოდება სოფელს გერასიმოვიჩი.
კუნავინმა იქ გაშალა მკერდი
და ვერაგ მტერს შეაჭახა მხედრის ნიჭი.

გადელობა მტრის ტყეიამფრქვევს დილით,
დაუმკიდრა სისხლით სოფელს ნეტარება.
შინ მეუღლე წლებს თითებზე ითვლის
და ურალში თვალი გზისკენ ეპარება.

არ ბრუნდები და მიქრიან წლები...
ძმაო, მტარვალს ეკვეთე და დაერკინე.
სოფლის გულში, ვით წყაროში, წვები
და მომავალს ჩაეკარ თუ ჩაეკირე?

შენი გვარი სოფლის სკოლას ერგო,
შენი ცეცხლი ურალის ქვის ნაკვესია.
საბჭოთა მთით გადმორგულო ნერგო,
როგორც სვია, ხმა სოფელშა ჩაგდესკა.

მეზმანება, ნაომარ ხელს მომხვევ,
შენს გარშემო თავთავების ლალანია.

რეინიგზელო, აქ ფეხდაფეხ მოხეელ
 და ურალში არ ყოფილხარ რახანია.

მხარე გაწედის უკედავების სურას,
 მეჩენება, სოფელთან ხარ ნამოყერები.
 შორს ოცნებით ვესტუმრები ურალს
 და უდანვე შენს ნაკეალევს გამოყენები.

აქ დამკეიდრდი, ვთთ პირეელი კომლი,
 მატარებელს გადაუსწარ დაბალ მოებზე,
 და ურალის ვარსკელავების ხომლი
 შენი ხელით პოლონეთში გადაჲესე.

ვინ ჩაგიქრობს შენ სიცოცხლის ქურას ?
 სოფლის მდელო შენი სისხლით ნაბანია,
 პოლონეთის მიწა მკერდზე გხურავს,
 მსუბუქია, ნისლია თუ საბანია.

შეუერთდი ამწვანებულ დაბლობს,
 ჩრდილში წევხარ და ბუნებას ეგუები.
 შენზე გლეხი ერთ სიმღერას ამბობს
 და მეგობრად შუა სოფელში ეგულები.

დღეს სკოლაში ჭიკჭიკია მერცხლის,
 მოსაუბრე ბუდე ფანჯრის რაფაზეა.
 მიწერილი სიცოცხლით თუ ცეცხლით
 მოწიაფის წინ შენი გვარი დაფაზეა.

უკვდავება ორ მხარეში გერგო.
 წინ გაგეისწარ და მყობაღში ირიცხები,
 და ურალის ფესვმაგარო ნერგო,
 მშვიდობის და ძმობის გზაზე მიმიძლვები.

მეშახტის სიტყვა

სიტყვა ჰგავდა ფრთების გაშლას,
 ვარდს თესავდა თუ მართავდა საჭეს.
 დიდ დარბაზში შეცურებდი ვაჟკაცს,
 ვიგონებდი ჩემს დონბასს და ტყვარჩელს.

ტაშს წყვეტდა თუ ვარდის კონებს,
 გმირს უძღვიდნენ ენძელას და იას.
 ხმაში ვგრძნობდი მე მეშახტის ლონეს
 და შახტიდან ქვანახშირის ჩხრიალს.

ვერ ვატყობდი ზუსტად ასაკს,
 მომეჩვენა, ბაჯალლო ქვას აწყობს.
 ვიცი, წინათ არ შემყრია არსად
 და მაინც ჰგავს ეს მეშახტე ნაცნობს.

შინ არ ხედება ჯაგს და ეკალს,
 გიშერს იღებს თუ ხელეურს ლალის!
 მეშახტის ხმა წყაროსავით რეკავს
 და კრემლისკენ გაფრენია თვალიც.

მსურს გაეტეხო მასთან პური,
 უხეი გული სამშობლოსთვის უცემს.
 გამეგება მუშის პოლონური
 და ვკითხულობ ძმის ცხოვრების ფურცელს.

გამრჯეა და გაშლილ პეშვით
 ბოროტ თვალში მტერს მიაყრის ნაცარს,
 დაჭვენია გმირს ნახშირის ეშნი
 და დონბასის სტახანოველს ბაძავს.

მეშახტის ხმა რეკავს აგრე,
 ნიღაბს ომის გამჩალებელს ახდის,
 მეჩვენება, შემხვედრია ადრე
 შორსმჭვრეტელი და მემკეიძრე შახტის

ჰგავს ოქტომბრის მტკიცე მებრძოლს,
 მომავლისთვის ფიქრს მატყლიერი ართავს.
 სურს სიცოცხლეს ყოველ ფესვთა ეძმოს,
 შშენებლობის უბანზე შლის კალთას.

ვაჟკაცია, გულუხეია,
 გრძელ ულვაშზე თითქო რანდავს თითებს.
 მთელ სამშობლოს ხელი შემოხეია,
 ვარსკვლავიერ შახტში ღამეს ითევს.

ვგრძნობ მეშახტის ხელზე აბედს,
 მუშის თეალი მეგობრის ხელს არჩევს.
 ვისლის პირას შავგვრემან ქვას აფენს
 და უსწორებს თეალს დონბასს და ტყვარჩელს.

საბჭოთა მეცნიერები პოლიტიკი

ვისლასთან ლეთისო, ალაზნის მუვიდრი,
 გამოფენაზე ლანდავდა ყურძენს.
 თვალი მჭრელი და მარჯვენა შეეიდა
 შაბს აშორებდა ქორფლან ფურცელს.

თორმეტი გლეხი უსმენდა სტუმარს —
 წიგნაუში წერდა თვითეულ რჩევას.
 სტუმარი გრძნობდა მსმენელის გუმანს
 და, როგორც ჭიქანს, სინჯავდა მტევანს.

წმინდა რუსულით ამცნობდა მხარეს,
 მასპინძელს თითქო აძლევდა პატაქს:
 როგორ ამშვენებს ყურძენი ყვარელს
 და ქვევრი როგორ ამბოხებს ბადაგს.

გმირი, ჩამდგარა გლეხების წრეში,
 გამოფენაზე თვალავდა ჭეჭილს.
 ლეთისოს გუმანი მიქროდა მთებში.
 მთაში შრიალით დაეშვა თქეში
 და აწყდებოდა დურუჭი ჭებირს.

მთები ისმენდნენ მდინარის ურვას,
 ლეთისო ჰყვებოდა შემთხვევას ისეთს,
 რომ ექვსი გლეხი იგრეხდა ულვაშს
 და ექვსი მალლა იწევდა კისერს.

თვალწინ დაეცა ალაზნის პირი,
 შორეულ მთაში ხედავდა მეხრეს,

ყვარელთან თითქო დაეშვა ჩრდილი
 და დაეფინა ვისლასთან გლეხებს.

ჯერ მოეჩვენა გვალვა მეათაფის,
 გაღმა მაღლობზე აფრინდა გნოლი,
 ნახა, ტაფობზე ნისლი გადადის
 და ცას მიეკრა გომბორის ზოლი.

მერე გყვითლდა მწვანე მტევნები,
 ბარში ვაზი და მთაში კუნელი,
 მთაში ამზოხდა დიდი ქვევრები
 და გრემს ბავშვიერი მოსწყდა ღრუბელი.

უსმენდა სტუმარს თორმეტი გლეხი,
 თხელი ლიმილი დაჭეროდა ბაგეს.
 არ მოუცვლია ადგილზე ფეხი
 მემანქანეს და საწყობის გამგეს.

როგორ დაირხა ველი ალაზნის,
 გლეხებს ესმოდათ ხმა საყვარელი,
 მზეზე ელავდა ვისლა ლამაზი
 და უფრო ტურფა ჩანდა ყვარელი.

თეალს ხეალინდელი ხიბლაედა ხეაეი,
 ბოლო არ ჰქონდა მეგობრულ ბასს,
 და ხელში, როგორც საამურ ყვავილს,
 ლვთისომ უეცრად დახედა საათს.

გვიანი იყო, წეებოდა ბინდი,
 ჩამავალი მზე იწყებდა კაშკაში;
 და ვისლის კიდით თორმეტი მკუდრი
 შინ აცილებდა საბჭოთა ქაუჭაცს.

ვროცლავში საბჭოთა ოფიციალური სასაფლაოზე

ვროცლავს საძმო საფლავია,
 რიგში წვანან ჩემი ძმები,
 თოვლი თოვეს და ზამთარია,
 ლოდზე ყრია ეარდის ძნები.

შეფუთნული ქალი ქურქში
 ყოველ საფლავს ყვავილს აფენ.
 წყვილი თვალი ჩამრჩა გულში
 და თვალს უუმღერ მოკაფეს.

დაო, ყვავილს გულით წყვეტდი,
 თოვლს უდნობდი მხედრის საფლავს.
 ფუტკარს ჰგავდა გრძნობის წვეთი,
 და ვარდს დობის სითბო თაფლავს.

მხიბლავს შენი გაელვება,
 დაო, ჰგავხარ ჭირისუფლს.
 შენი თვალი გარს ევლება
 ვაჯაცების გმირულ უბანს.

სამარხის ქვეშ ლვივის ცეცხლი
 ნახავ, თუ შენ ახდი ფიქალს.
 ოქეანის მილმა მხეცი
 ისევ უხმობს ომის გრიგალს.

სურს დანერგოს ხალხში დარდი,
 თითქო სისხლი ჯერ არ კმარა.

თუმც თოვლია, მაგრამ ვარდი
 არც ერთ ქვაზე არ დამჭერარა.

ვარდი იღნობს თოვლის ნამჭერს,
 დობილის ვარდს ვერვინ ჩავლავს.
 ყოველ საფლავს ფიქრით დასცერს
 და სამშობლოს ურწევს ფკანს.

ეს არ არის სასაფლაო,
 ბუდეა თუ ბრძოლის ველი?
 შშვიდობისთვის, ჩემო და,
 დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

მტერს წავართვით ტალღა ვისლის,
 მზე დავეიდეთ ქვეყნის ბეჭობს,
 და რომ გაეხდეთ გმირთა ლირისი,
 მშვიდობის ხმა ხალხში ვქექოთ.

საფლავის ქვა გამობარია,
 ვარდი დევს თუ ღველფი ქერის?
 თოვლი თოვს თუ ზამთარია
 და პპრილი მკერდში მღერის.

აქ სიცოცხლის სუნთქვა მესმის,
 ეს არ არის სასაფლაო,
 და მშვიდობას გულის ფესვით
 ჩავეჭიდოთ. ჩემო და.

ხემბის შემპრეზი

ჩემს ძმებს უძღვენ ვარდის ტოტი,
ხარ მშეიღობის და სიცოცხლის ვარდი.
სანამდის აქ მოხვიღოდი,
ხალხში იმედს შენ ვარდივით რგავდი.

შორს გაჟურებ ახალ ვროცლავს,
დობილი ხარ თუ მეგობრის მდადე?
ყვავილი და ფიქრი გმოსავს,
და მოფრინდი შენ აპრილზე აღრე.

ეწო-ეწო ჩაგიელია,
ხელმოწერას ამრავლებდი დღისით.
შენი ფიქრი ყვავილია,
შენ ხარ დაფნის თუ დაფდაფის ღირსი.

ჰგავს სიცოცხლის მფარველ დეკრეტს
ხუთი ქვეყნის შეთანხმების პატი.
დობილებს და დედებს შეჰქრებ
და მოძმის გულს ნისლის სარქველს ახდა.

ჩაურბინე მრავალ კიბეს,
შინ ესტუმრე კალატოშს თუ ხარატს.
ხელმოწერილ ფურცელს იღებ,
როგორც ხალხის და სამშობლოს გარაოს.

შენ პატარა მებრძოლი ხარ,
ყვავილი ხარ, ირემი ხარ რემის,

შენ ნაომარ ფხემშე ზიხარ,
 ტურფა ხარ და დობილი ხარ ჩემი.

ტანკენარი გზაზე ჩანდი,
 ხელისგულით მოძმეს ფიქალს უთბობ,
 რომ არ დაჭენეს თოელში ვარდი.
 შენი ეშნი დაპურე ბუტეოს.

ზიხარ, ითვლი ხელმოწერას,
 თუ ანგარიშს შენ აბარებ გმირებს?
 ჰვავხარ ახალ მთის სიმღერას
 თუ მომავლის მთაზე შემდგარ ირებს?

მზით ავსებულ ბალს ჩაივლი,
 ეფერები უკვდავებას გმირის.
 სისხლით სავსე მთის ყვავილი
 ძმის საფლავთან სიცოცხლეშე ყვირის.

ერთი ხარ და მრავალი ხარ,
 შენი გული საშიობლოს გულს იტევს.
 შენ გიბყრია ხმები, ტურფავ,
 და ხმებით რწყავ შენ ხეალინდელ მინდვრებს.

პროცესის გამონაშენებელი ქარხნი, სტახანოვი ქალს

ერთხელ გიხილე დაზგისთან ახლოს,
 არ მაგონდება შენი სახელი,
 დაო, ღებავდი სამგზავრო ვაგონს
 და მერე გზაზე კოხტად გახველა.

ახლა მე მარწევს ლურჯი ვაგონი,
 არსად შემხედება ლრე და ეწერი.
 სითბო მოგვყება, შენი ნაქონი,
 და მგზავრს ცხოვრების გზაზე ეწევი.

ვაგონში სხედან შახტის მუშები,
 სოფლის ბავშვები, როგორც დიდები.
 წინ სემაფორის ბრწყინავს შუშები
 და მაეთულებზე ჭრელი ჩიტები.

ომგადახდილი ქვეყნის იერა
 ჩნდება და გვხედება გზაზე ჭალები.
 გზისპირად წვანან ალბათ იები,
 როგორც დები და შენი თვალები.

მზერა მიჰყება ნაცნობ ვაგონებს,
 როგორ შესცელია მხარეს ნაკვთები.
 სავსე ვაგონი ოჯახს მაგონებს,
 და შორს გარბიან მთების კალთები.

შენ აგინთია შრომით გულები,
 როგორც სიმები, რეკავს რელსები,

ჩვენ ვართ დროებით შენი მღვმერები,
 და ქვეყნის მაისს ეალერსები.

კუპე პატარა ოჯახს მაგონებს,
 ხშირად იცლება საესე ჭიქები,
 და ვროცლავიდან გასულ ვაგონებს
 ბარათებივით მიაქვთ ფიქრები.

მღერამ შეცვალა ხალხის ვარამი,
 ველს დაფენია ვარდის ვარაყი.
 გლეხმა ბერასთან გახსნა ალამი,
 და მის გარშემო ლელავს ბალახი.

მღელვარე ბალახს ძოვენ ძროხები,
 ვერ დაესხმება მტერი უხეში.
 ფიქრით კუპეში მუშებს მოჰყვები
 და მღერით შეხვალ ყოველ კუთხეში.

შშეიღობის სიტყვას, გულით გაგონილს,
 აწვდი ძნებივით სამშობლო მხარეს,
 და მე მგონია, შენი ვაგონი
 უახლოვდება მოსკოვის კარებს.

პ რ ა პ რ ვ შ ი

შეჩეცეული ვარ მამულზე მღერას,
 და სტუმრის თვალით შეცყურებ კრაქვს.
 დავცერი ქვაზე ჩუქურთმის პერანგს,
 ძველი ოსტატის ოცნების ნაყოფს.
 როგორ შევიძლებ, შორეულს ჩავწედე,
 როგორ შევიცნობ ორ დღეში ქალაქს.
 • მე შემიძლია მცირე ხნით გავცდე
 არაგვის პირს და მეზობელ არაქს.
 ვუმღერი წითელ მოედნის ნაძვებს,
 კრემლის ვარსკვლავით გადავწედე ურალს.
 მე კოჭრის გრილი ნიავი მარწევს
 და შინ მთაწმინდის ლაქვარდი მხურავს.
 კიევის ბორცვზე შრიალებს წაბლი,
 შინ მეძახიან ჭადრების რტონი.
 გულში ერთი ხმა ჩქერივით ჩარბის:
 სად არის ჩემი სამშობლოს ტოლი.

სად არის ჩემი სამშობლოს ტოლი
 მაინც კრაქვში წილი მაქვს მგონი,
 რაღგან ვპოულობ ლენინის ბინას,
 სადაც მოისმის ნაბიჯი სწორი
 და ქარი არხევს იმ დროის ჩინარს.
 მესმის ლენინის ნაბიჯი მტკიცე,
 როგორც ესმოდა მაშინდელ რუსეთს.
 მინდა სიმღერას სიმალლე მიცცე,

და წინ ჩაეცელი არწივის ბუღეს.

მე ყველგან მხვდება სამშობლოს წვლილი,
მეზობლის ეზოს ამაგით ამეობს.

თავს მაღვას დიდი ლენინის ჩრდილი
და, ვით შინაურს, შევყურებ კრაკოვს.

მოსავლის დღესასწაული პრაქტიკი

დილით მწყემსმა მოით ნახირი ჩამოდენა,
დღეს კრავოვში მხარგაშლილი გლეხებია.
პრეზიდენტმა ჩაარა გამოფენა
და მზრუნველი ხელი ხორბალს შეჭირა.

შორს უკრავენ გარანტული საკრავები,
მიხარია, მეზობლობას გეფიცები.
შეჯევი და ფიქრით ზეიმს გადავები
და კასრებთან სალამოს მზეს ერთიც გადავები.

პური, ხილი და სიმინდის ლეროები...
მეჩვენება, მოსავალი ულევია.
ცის ტატნობზე წრეს ბაწრავენ წეროები
და გლეხებში ლამის მეხრეც ურევია.

მეხრეს თითქო კოპერნიკთან გაუვლია,
ვისლის პირას მეცნიერის ეჭვებია,
კრაფოვის ცა კოპერნიკის მამულია
და თვალებით ირშის ნახტომს შესჩევია.

სლავურ კოგრით შეაგროვა ვარსკვლავები,
როგორც ძნები და მომქილი თავთავები.
ლამდება და ფიქრით ზეიმს გადავები,
და ვისლაზე ამოცურდა ვარსკვლავები.

საცეკვაო წრეს აქეთებს ოცეული,
სკრიპტის ლარებს გურალი ვერ შელევია.
დღესასწაულს, ვით გამსკდარი ბროწეული,
მაშხალიდან ნაპერწელები შერევია.



დღეს კრაკოვში გლეხებია შეკრებილი,
მომავლისთვის არტელის წევრს უშრომია,
და ვარსკვლავებს რომ არყვევდა კოპერნიკი,
პოლონელ გლეხს კრემლის კაშაზე უპოება.

მაშნალებით კრაკოვის ცა დაფერილა,
დარწეულა მტევნები და თავთავები,
და ვისლიდან რუსეთისკენ გაფენილა
კოპერნიკის შეჩჩეული ვარსკვლავები.

ლენინის სახლი სოჭელ პორტინოში

ტატრის გზაზე სახლი ვპოვე მცირე,
 ძელური და მიმზიდველი ეგზომ.
 ჭიშკრის კიდით ნაბიჯს მოვუხშირე,
 შინ შემიხმო მთის მოსახლვრე ეზომ.

ძელურ სახლში უცხოვრია ლენინს,
 უშრომია ღიდ ბელადს და ოსტატს.
 აქ ელოდა რუსეთიდან წერილს
 და არჩევდა სახლში ფარულ ფოსტას.

ჩქარობდა და თვალს ავლებდა გაზეთს,
 მოვერცხლილი მთები ჩანდა ტატრის,
 მგზავრს შველოდა ისტორიის გზაზე
 და აწყობდა შინ ჰარტიულ თათბირს.

გაჟყურებდა ტატრის მთას და ვაკეს,
 ყურს უგდებდა წყლით მომლერალ წისქვილს.
 თვალი, მგონი, დამჩნევია სარკმელს
 და ხმის ეხო ტატრის მთებში ისმის.

ეზო თითქო გრძნობის აუზია,
 კარს ვეხები თუ სამშობლოს ნაწილს.
 ბრძენს შენობა ფიქრით აუვსია
 და იმ ფიქრის ნაპერწელები მაწვიმს.

მომავლისთვის კარი ჰქონდა ლია,
 კუნძულს ჰვავდა კარ-მიდამო მცირე.
 მთის არწივს ხომ მთები ჰყვარებია,
 და შეჭრილ მთებში მონალირე.

გლეხს ბასით შექმოლია ბევრგზის,
 ნაპერწერი უთესია მთაში.

ამ პატარა და უსაზღვრო ჭერქვეშ
 აუნთია ლენინს გარიერაეთ.

შორს მთებიდან ეშვებოდა მწუხარი,
 ჩაუკლია ფიჭვნარი თუ ხევი,
 ტატრის მთებში შექხაროდა ქუხილს
 და ბილიქზე დარჩა ნაკვალევი.

ადრიანად მზეს ხედებოდა ზღურბლზე,
 მგზნებარე კოლხს მთაში მოელოდა,
 და ლენინის თვალუწვდენელ შუბლზე
 შუქს ხედავდა ხალხის ეოცოდა.

პქონდა სითბო და ფხიზელი ძალი,
 ვოლგას ჰგავდა, დიდ გვალვაში შეჭრილს,
 და ლენინის აზრი დათესილი
 დღეს აპურებს პოლონეთის ჯეჭილს.

შშეიდობის გზა ამ ეზოზეც გადის,
 ვარსკვლავები ამ ბუდიდან მითქრების.
 ვუმზერ ეზოს, ვით სანუკვარ ადგილს,
 და ეზოში ვმკი სახალხო ფიქრებს.

მცირე ეზო არწივის ფრთას ისხამს,
 შშეიდობის გზას მეგზურობას უწევს,
 კარ-მიდამო ჰგავს ანთებულ ცისკარს
 და პარტიის მატიანის ფურცელს.

დამკვიდრდა და ფრთა გაშალა მთებში,
 ჩანს სიცოცხლის და შშეიდობის მცველი,
 და ამ სახლმა ახალ პოლონეთში
 მომავლისთვის ჩადგა საძირკველი.

გორის სახლი პორონიოშვილი

პორონიოშვილი, ლენინის მეზეუმის პირველ
ოთახში დგას გორის სახლის პატარა
მაკეტი.

როგორც ბულე, შეფუთნული მთაში,
როგორც წიგნი და სახალხო აზრი,
ჩანს ლენინის დაფიქრებულ სახლში
გორის სახლის ფრთაშესხმული ასლი.

ტატრის ახლო მომეჩენა მტკვარი,
კლდეზე ციხე და გაშლილი ხედი.
გორის სახლმა გამოაღო კარი
და კარებში გამოფრინდა მტრედი.

ბუდეს მოჰვავს თუ ელვარე მტევანს ?
ჩეროს დარიად სახლს დაჟყურებს ჭერი.
ტატრის მთასთან სამშობლოს წინ ვდგივა
და გარშემო ჩანს ჭადრების ჭერი.

შენგან წაეელ და შენამდე მოველ,
საქართველოს მთები მხედება მგონი.
გორის წყარო პოლონეთშიც ვპოვე,
ტატრის გზაზე გვეგებება გორი.

ვპოვე ბრძენის პირვანდელი ფუქე,
მთას ამშვენებს და მდინარის ნაპირს, -
დროშას არხევს თუ მშეიღობის ფურცელი
და ამკვიდრებს მთის მაღლობზე აპრილს.

გაუმართე შენ პოლონეთს მხრები.
 რომელი ვთქვა, როგორ ჩემოვთვალო.
 სადაც წავალ, მფერა, შემცყრები,
 როგორც ფიქრი და სიცოცხლის წყარო.

აივანზე მიყრდნობილი კიბე,
 მამალლებს და გონების თვალს მიხელს.
 შევდექი და ფიქრი მოვიყრიბე,
 და შევჰურებ ქლდეზე შემდგარ ციხეს.

დასტრიალებს სახლს მთიელი ბავშვი,
 გორს გურალი უგალობს და ლალობს,
 და, მგონია, ამ შორეულ მთაში
 ეწყვეტ მამულში დამწიფებულ ნაყოფს.

სახლი მაწვდის საგზალივით იმედს,
 შეეჩინა მწვერეალებში კაშეაშს,
 გულს უამებს გამარჯვებულ ჩინელს
 და კორეელ შეუდრეველ ვაჟკაცს.

აზრს აღვიძებს, როგორც რტოზე ფოთოლს,
 კუებავს მართვეს და ხეალინდელ ბოკეერს,
 საბერძნეთში ელანდება ობოლს
 და მარსელში თავდადებულ დოკერს.

გორის სახლი ნაწილია ქრემლის,
 მზე უპყრია თუ სიცოცხლის თასი?
 და კაცს ყოველ გზატკეცილზე ელის
 გორის სახლის ეს პატარა ასლი.

წილი სითბო ტატრის მთაშიც უდევს,
 ხეის უმატებს მაღაროს თუ კალოს,
 ჰგავს მომავლის გამომჩეულ ბუდეს
 და საშობლოს დაუშრეტელ წყაროს.

გზახი თქმული

მგზავრს გზაში ბევრი ჩამ აგონდება,
 გაგონილი თუ განცდილი აღრე.
 მთაში სტენა თუ ქვის დაგორება,
 თუ მდინარეში ნასროლი ბადე.

პირველი ფუძის ჩაყრა კაშხალში,
 არხში ელვარე თეთრი წვივები.
 ბინდში პატარძლის თვალის კაშკაში
 და გადაბმული მთაში წვიმები.

მეც წესს საერთოს ვემორჩილები,
 რას არ ვიხსენებ, როგორც წესია,
 თოვლზე წვებიან ძველი ჩრდილები,
 და თოვლს მთის კიდე მოუთესია.

მთები შორიდან ერთი ბეწვია,
 უფრო დიდი ჩანს სოფლის ბუხრები.
 მე მოგონება გზაზე მეწვია
 და, ვით თანამგზავრს, ვესაუბრები.

როგორ განვვლიე ოთხი ხუთწლედი,
 მინდა განვვლიო კიდევ ხუთამდე.
 ვიცი, შრომაში არ მოვხუცდები,
 თუნდ მეორმოცე გაზაფხულამდე.

ეგებ მამულში ერთი ბეწვი ვარ,
 მაინც დიღმა გზაშ მომცა ნეგეში,

და მე ხუთწლედში ისე შევდივარ,
 როგორც შედიან სიჭაბუქეში.

გვალვაში მგონი არ გვესუნდები,
 სიმბირსკს ჩავწევდები გრძნობის ძაფებით.
 მერმე გორის გზით შინ დაებრუნდები
 და შინ ორ წყაროს დავეწაფები.

წლების უანგს ვატან ქუეუნა წეიმებს,
 გულში გვალვისთვის ივრის ღვარია.
 მე უცხო გზაზე რა დამაძინებს,
 თუმცა გზაზე ვარ დიდი ხანია.

მცირე ხნით ძილი შინ შემიძლია,
 ძილი ტყბილი და ძილი ფხიზელი.
 შრომის ქუხილი ჩემი ღვიძილია,
 და ქედა ხარის შემრჩა კისერი.

გზას ჩემი კვალი არ დააჩნდება,
 მე კი ჩამრჩება ამ გზის წინორები.
 ძმის წარმატებით სული კაედება
 და კაეს მაწვდიან ჩემი სწორები.

გზაზე ვიგონებ დედას — ქეთევანს,
 წინ მიღენია ეელი ტრიალი.
 პატარა პეშვში გული მეტევა
 და გულში დიდი ქვეყნის ტრფიალი.

სადაც არ უნდა ვიყო დროებით,
 ყველგან სამშობლოს ზეიმს ეესწრები.
 თავზე დამნათის არყის რტოები
 და მეც მათბობენ მისი ფესვები.

გ უ რ ა ლ ე ბ ი

თოვლია და ფიჭვებია დახრილები,
ტატრის მთები გარინდულან, გულადები.
ზამთარია, წყრიალებენ მარხილები
და გალობენ მთის კილოზე გურალები.


მთებს მოუსხამთ ნაბდები და ქულაჯები.
გზა ზამთარმა ფანტელებით გადაპენტა.
მთაზე მხედრებს გადუგრიხავთ ულვაშები.
არ მეგონა, ციგა მთაზე ამაფრენდა.

თხილამურებს შეჩეკვიან ხელოსნები,
მოქრიან და სუფრებს შლიან პურადები,
სად გაფრინდნენ ციგები და ცხენოსნები, —
და მეზობლებს მაგონებენ გურალები.

ნაძვები ჩანს თოვლში მწვანედ ანანთები,
მთაზე მივფრენ, თუ ცაზე ვარ გაბაჭრული!
ბაკურიანს მომაგონებს ტატრის მთები
და „ზღვის თვალთან“ თვალწინ მიღვას ტაბაჭყრი.

მთაში მთქმელი და მოლექსე მრავალია,
მთებია თუ თეთრხალათა მკურნალები.
ბუნებასთან მთაში ბრძოლა მთავარია, —
და ხევსურებს მაგონებენ გურალები.

ტატრის მთებში ხალხი მღერის დალხინებით,
მტერი ბილიქს მაღალ მთაში ვერ იშვიის.



ზარებს რეკენ და ფრთას შლიან მარხილები, —
ტატრის მთაზე გზა გადაღის, გზა შშეიღობის.

მთები გვიხმობს თუ მწყემსების საყვირები ?

ტატრის მთები გარინდულან, გულადები.

ზარებს რეკენ, თვალს იტაცებს მარხილები, —
და სტალინზე ლექსებს თხზავენ გურალები.

* გურალები პოლონელი მთავრებია.

ზღვის თვალი

ტბას „ზღვის თვალი“ დარქმევა,
 ვერსად ვპოვებ ტბის ნაპირზე ჭალაქს.
 ტბა არის თუ ნაჭდევია,
 თუ ბუნება მეორე თვალს მალავს?

სად ვიყავ და სად მოეფრინდი,
 მეჩვენება ნაქვალევი ნუკრის.
 დილაა თუ მთაში ბინდი!
 ტბა გალობს და მთებში ყოფნა უკვირს.

მთა მშენდება ამგვარ ტბებით,
 მთის ბუნება თითქო ალალია.
 ამგვარი ტბა, მე რომ ვტკბები,
 საქართველოს მთაშიც მრავალია.

თვალწინ მიღგას ტბა ხრამშესის,
 ბუნებაში გაღებული თვალი,
 ტბა ვრცელი და უმაღლესი,
 თბილისის ზღვის ძმობილი და ცალი.

ხრამშესის ტბის მღერა მიყვარს,
 შუქს მთავაზობს თუ ოქროსფერ თევზებს?
 ჰგავს მწვერვალზე შემდგარ ცისკარს
 აფრენილი თრიალეთის მთებზე.

ტბები მთებში მოვათავსეთ,
 ხალხმა შეძლო მთებთან გამქლავება,
 და მგონია ტატრის მთაზე
 ჩამიქროლეს ხრამის ვარსკვლავებშა.

ტატრებული ბავშვებთან საუბარი

მთაზე მხედებიან ცქვიტი ბავშვები,
 დაბლა ამოლდა სოფლის ბუხრები.
 ბავშვებს ფიქვნარში ვეთამაშები
 და გორის სახლზე ამბავს ვუყვები.

არწივის ბუდე რარიგ თბილია,
 როგორ ახლოა მისთვის ტატრები,
 და ბავშვის თვალში აღბეჭდილია
 გორის სახლი და ჭრელი ჭადრები.

ვესაუბრები ფიქვთან პატარებს,
 ფიქვი მაღალი ანძის ტოლია.
 ტატრებს სამშობლოს ქედებს ვაღარებ
 და გორის ბუდე ახლო მგონია.

დაწითლებიათ ბავშვებს ლოყები,
 თოვლზე წვებიან მოკლე ლანდები.
 ქართლიდან ბრძოლას გრძელ გზას მივყვება
 და კრემლის კართან შევგვიანდები.

ამ გზამ გაწაფა გზები არწივის,
 ფრთებმა გაფანტა მთაზე ღრებელია,
 გორია ყველა ქვეყნის ნაწილი,
 და გორის ამბებს ბავშვებს ვუყვები.

ტატრიდან მცირე სახლი ავლანდე,
 დაუცმევეტიათ ბალებს ყურები.
 და, მე მგონია, გორის კარამდე
 მოჩანს ბავშვების ნაფეხურები.

მთის მღინერე

ფრთა მოუსხამს თითქო ორბის,
თუ მეცხვარის ყიჯინია მთაში?
მთის მდინარე ხევში მორბის
და მოჰყება თეთრი გარიერავა.

ჯერ მცირეა, წვება თოელში,
ფუსფუსებს და გზას იკაფავს დაბლა,
ვით მინახავს სამშობლოში,
ზეავი მოსკდა და მდინარე ჩაფლა.

მაინც ფხიზლობს მთის მდინარე,
ორწოხებში გამორბის და მოყეფს,
მთებს აღვიძებს უწინარეს,
პირს მობანს თუ მთას უშხეფებს ლოყებს.

დაუცევიტავს ტატრში ყური,
სჭრის ლრუბლების და ფიჭვების ალყას.
მე არ მესმის პოლონური
და ქართულად ვესიტყვები ტალლას.

მთის მდინარე მქუხარია,
გარგად არჩევს შინაურს და უცხოს.
ჩემი მოსვლა უხარია,
თერგს ედრება და მანსენებს თრუსოს.

მოზარდია, და შლის რიყეს,
ვერ ჩერდება, თითქო გული უწუნს.
გეონტიდან საზრდოს იღებს,
როგორც თერგი წოვს მყინვარის ძუძუს.

ნეტავ შემონდეს მომცრო თუნგი,
 არ შევსვამდი გაყინულ წყალს პეშვით,
 როგორც გრძელი თევზის ზურგი
 იელვებს და იკარგება ტყეში.

მთიდან მოაქვს წყლის ნამქერი,
 დუღილშია და ნაპირებს ჩარჩავს.
 ვიწრო ყელით მთებში მღერის,
 ჩანგს აუღერებს თუ გურიალის საკრავს ?

მთის მდინარეს ვგავდე ნეტავ,
 გავარღვევდი შორს, გადალმა, ორწოს.
 მთაში ვარ და მღერას ვბედავ
 და მგონია. ტალღა ანთებს კოცონს.

თვალს ვაყოლებ, გადაცყვები,
 ტალღა თითქო ელნათურებს ჩეკავს.
 მაღალია ტატრის მთები,
 და მდინარე მთის გუმბათზე რეკავს.

ხალხური ციკვა

მთაშე ბინდია და ლარი რეკავს,
 მოწყდა ტურფა და ქაბუქთან ცეკვავს.

ტრიალებს წყვილი, ეხვევა ალი,
 დაკარგულ ვარსკვლავს დაეძებს თვალი.

ვაეი მიჰქრის და ქარივით ღელავს,
 ტურფა ჰგავს რტოშე ახვეულ ვენახს.

ორივე ცეკვით გვიყვება ზღაპარს
 და ჭიანური ტყეში გზას კაფავს.

ტურფაც ღელავს და ვარდივით მორცხვობს,
 ცეკვაში მთების სილალე ცოცხლობს.

მგონია მთაში უკრავენ საყვირს.
 ცეკვით სწყდებიან ნაპრალის ნაპირს.

ტალღის დარი თუ ქარიშხლიანი,
 მე მესმის ქალის ჯაბის შრიალი.

შრიალით უხმობს ასწლოვან იფნებს,
 და წყვილი მთიდან მყობალში მიფრჩენს.

ბარათი ტატრიძან

ტატრებში შენი ხმა მაგონდება,
 შინ ფრინველით მარტო იქნები.
 ჩემი ტრფიალი არ გაორდება,
 სხვას არ გაჰყება ჩემი ფიქრები.

მთების გადაღმა თხელი ბინდია,
 ბინდის გაღმოღმა წვრილი ისრები,
 შენთვის გუმანი მე მომინდვია,
 და ამიხსნია შენი სიზმრები.

ჩამავალი მზე ტატრებში დათრთის,
 ღრუბელი თითქო თეთრი ბეჭვია.
 შენი მყუდრო ხმა სიმღერისათვის
 მთაში, ვით წვიმა, წამომეწია.

როგორ გხიბლავდა მთაზე ქრავები.
 როგორ გიყვარდა მთაში წრიალი.
 დღეს შენზე ფიქრით ნისლში გაეები
 და ვერ შევნიშნე ხევი წყლიანი.

ხევით მოისმა წყლების ჯანირი,
 წყლები სიცოცხლის საბუთებია.
 ჩემი ქვეყნის თუ შენი ძანილი
 წყვილად ამ გულში ჩამბუდებია.

წინათ გიყვარდა მთაში სირბილი,
 ახლა მე მარტო ესახე ტატრება.

დაბლა ფუსტუსებს ღარის წისქვილი
და შენ წისქვილთან მომენატრები.

გულში სამშობლოს ნაწილს ვატარებ,
არ ირჩევიან მთაზე ქარები.

შენს თმას აპრილის ჭეჭილს ვადარებ
და შინ თქორიეით მივეჩერები.

მეორე პარატი

მთები უშენოდ მკრთალი ყოფილა,
 მაინც მიღუვები მაღლობს ხევიანს,
 შენი თვალებით მთა აღობილა
 და გულს არშიად შემოსევევა.

მტკიცე ნაბიჭით განველე სერები,
 გიხმობ და თითქო შენ მემალები.
 მე ცისარტყელის მიყვარს ფერები
 და შენი ლრმა და ლია თვალები.


მე მაგონდება მთაზე ხახმატი,
 მჟავე წყარო და სოფლის ბანები.
 ახლაც დავძლიე ორი იღმართი
 და ტატრში ხევსურს დავემგეანები.

მახსოვს მეგობრის ჩანთა საერთო,
 ჯორზე აკრული ფუთა რამდენი.
 შემდეგ რამდენი დილა აენთო
 და შორს რამდენი ჩაქრა სანთელი.

ცხოვრების გზაზე განველეთ ქედები,
 მოვსპეთ მტერი და ყორნის ჩხავილა.
 მე ვიცი გზაზე არ დაებერდები
 და მრავალ იღმართს კიდევ აფიცლი.

ცვლის სიყვარული ჭვეუნის ამინდებს,
 მთაში იწვრონება გულის კუნთები.

შენ ცისარტყელა თვალით ამინთე
და მე მეორედ გავჭიბულები.



მთაწე მყარნახობს ბარათს ტრფიალი,
ბარათს დაისის წერენ ისრები.
მე წინ გზა მიღევს შენი ზიარი
და ორ შემხვდები მთებზე ნისლები.

მშვიდობის ესტაფეტა

მეჩევნება, აგუგუნდნენ სკები,
 ხიდზე ვდგევარ და ხმაური მიყვირს.
 თურმე შეუჩბნენ გზაზე ჭაბუკები
 და მშვიდობის ესტაფეტა მიძქრის.

გზას მიძყვება ოდერამდე გაჭრილს,
 მალლებიან გზაზე ყეავილები.
 მე შეცურებ წინ მეომრის აჩრდილს,
 გავუვები და არსად დავილლები.

გზაზე, მგონი, მოძმის ნაბიჯია,
 დამჩნევია ომის დღიდან შარას.
 დღეს მშვიდობამ ეს გზა აირჩია
 და მეომრის ჩრდილი მგზავრებს ფარავს.

იმ გზით მივლენ ახლა ყმაწეილები,
 გზაზე თვალი გახელია რამდენს,
 მშვიდობა და შრომა — ნაწყვილები,
 ესტაფეტა მიფრენს ოდერამდე.

ჩაუარეს გზაში ვოეკოდებს,
 მინდვრის ეარდებს, ნალმით ნაიარებს.
 გზა-ბოძალზე ძმები მოელოდნენ
 და მეომრის კვალზე გაიარეს.

დედის თვალიც ცისკრისოდენია
 გაუშუქა გმირს მშვიდობის გზები.



წინ გაშლილი მშევიდი ოდერია

და წყლის გაღმა — მეგობრული ხმები.

ამ ადგილას სისხლი დაუღვრია

საბჭოთა გმირს მამულისთვის მებრძოლს.

დაღვრილ სისხლზე ამოსულა ღვია

და ნაპირი ჰეგავს მეგობრის ეზოს.

სიკაბუკის მოძახილი ისმის,

შლის მდინარე სამეზობლოდ ტოტებს.

მშეიღობის ძნა წამოიღეს ვისლით

და გადასცეს ჭაბუკებმა ოდერს.

დაწერილია 1952-53 წწ.

თემაზე ჯილდური

პოლონეთის გვებები

მახსოვს იანერის დღეები შმაგი
 და ლამეები თეთრად ნათევი,
 ქარში, ყინვაში დამსკდარი ბაგე,
 წყურეილი — გულში ვერ ჩასატევი.

ჩვენს შეჩერებას ცდილობდნენ ბრძოლით,
 მაგრამ წუთითაც ვერ შეგვავეს,
 ამ ბილიკებით, ამ გზებით სწორედ
 ვდევდით გაქცეულ მტრების ნაცვალეს.

ვსდევდით.

საზღვრამდე დარჩა რამდენი,
 ბერლინისკენ ხომ მიღის ეს გზები?
 თოვაში, გზებზე ლამის გამთენი
 დასაცლეთისკენ ვიღტვოდით გზნებით.



ვსდევდით.

გვხვდებოდა გული კეთილი,
ლოცვა, კურთხევა პოლონელ ძმების,
მოყვრის ქარები დაუკეტელი
და გულთან გულის სავალი გზები.

რამ დამავიწყოს დღეები შმაგი,
ღამე უცნაურ ცეცხლის ანთებით.
ქარში, ყინვაში დამსკდარი ბაგე
და შეჭირხლული შინლის ქალთები.

კოლონიატთან გამოთხვებისას თქმული

ნულა ჰყიქერობო — [რატომ? და დაეიციშვებ? — როგორ იმ ლუბლინსა და რადოშს, იმ ზღვისფერთვალა გოგოს. იმ დღეთ, გრიგალთა ყივილს, ცეცხლად დანთებულ დღეთა... როდი ვიგრძნობდი ტკივილს, — ეიდექ დიდების ბჭესთან. დიდი სიმღერის ელვა, ცეცხლად მოსული თქვენთან, ვიდექ რისხვა და ლელვა, მკერდში გრიგალი სცემდა.

და....

... ბევრი არა და მაინც ხომ მიბრძოლია ქართველს, თქვენს მიწასა და მაისს ჩემიც მცირედი შმართებს.

... მაშ მითხარით რამე და გაიხსენე ხოლმე ეს სხივდალვრილი ლამე, მიხალინა და ხოლმი....

სოქეა და ცრემლებით დალბ ლაშვზე მიმქვდარი ხალი. — ჰე, ველარ გნახოთ ალბათ, ბუგზე გადავალ ხეალი.

თბილისელი პროცესი

მტერზე მრისხანედ ხმალშემართულია
 თბილისელებიც ვქუხდით ვროცლავთან,
 გვლოცავდა ჩვენი მიწა ქართული
 და პოლონური მიწაც გვლოცავდა.

გვესმოდა მიწის ლოცვა ქაცური,
 სიცოცხლის ლელო გაგვეზნდა მკერდით,
 საასპარეზოდ ოშში გასულნი
 დუშმანს სიკვდილის ბადეში ვხვევდით.

ვროცლავი მზისთვის იყო მლოცავი,
 ნისლი ეხურა მხრებზე ნაბადად,
 გადახანძრული სლავთა ვროცლავი
 მხოლოდ მაისის დილამ დაბადა.

უკვდავი ცხრასორმოცდახუთი
 და ქრემლი გახდა მისი მშობელი,
 ცას ჩამოყიდეთ მზე — ოქროს ბურთი,
 ძმობის, სიცოცხლის მზე უქრობელი.

ვროცლავს ჰყვავიან ყაყაჩოები
 თუ ჩვენი სისხლი წარუხოცავი...
 გვეძმო, გვემოყვრა ხარაჩოების,
 მშვიდობისა და შრომის ვროცლავი.

როცა მართავდა მშვიდობის კონგრესს
 იგი ქრემლისკენ გაწვდილ ხელებით,

— გაიმარჯვებსო შშეიდობა თმზე!
ეროვნული პეტენციან თბილისელებიც.

ეროვნულის სიკედილის ქარწვიმის დროსაც
ჩვენ სიხარულის დღეს ვუთენებდით,
ახლაც სალხენად მოსულან ეროვნულის
ჩვენი თბილისის ფეხბურთელები.

მტრედისფერ ცაში შეფრინდა მტრედი,
ოდერის პირზე ბურთი აფრინდა
და სტადიონის მღელეარე მეერდი
ხშირ-ხშირმა სუნთქვამ ლამის დაფლითა.

ომში დაცემულ თბილისელ ვაეთაც,
აქვე რომ წეანან ხმალაბჭრიანად,
თურმე ჩაესმათ ქართული ვაშა
და საფლავებში გააურიალათ.

თადს დასდგომია შუქი სტადიონის
შშეიდობის ლიმად გადმოფრქვეული
და ხარობს გული — ძმურ სიყვარულის
ლამაზ ბალეში გამოხვეული.

— თქვენც დაგვიწვიეთ როცა გენებოთ,
თბილისშიც შევხვდეთ, ეროვნულებო!

პოლონეთი

მახსოვს ველები გადათოველილი,
 ჯარისკაცული ჩექმით მოვლილი.
 მე ფეხის გულით მაქვს გაზომილი
 კოპერნიკის და შოპენის მიწა,
 პოლონელ კაცში კაცი მშრომელი
 და განუყრელი მოყვარე ვიცან...
 გულს ჩამრჩა მარად დაუვიწყარი
 მისი სიმღერა ლბილი და ტებილი,
 გრილი ღამე და სითბო მოყვრული,
 მარილმოყრილი ღიმილი თბილი.

დღეები, ცეცხლის ოლმა რომ ჰნატა,
 ზამთრის ყინვა და ზაფხულის ხეატი,
 ტყისპირას ერთი ცისფერი ხატა,
 კედლის ეუთხეში ხვთიშობლის ხატი.
 ხატაში გოგო გალიმებული,
 სიცოცხლის ძალა გასაოცარი
 და მე — ცეცხლივით გალვივებული —
 ხატზე კი არა, მასზე მლოცავი....

თვალია ცისქვეშ დამძინებია,
 წამწამზე ნამი დამმძიებია,
 გზაც დამარგვია უსიერ ტყეში
 და ფიჭვის ცრემლიც დამწვიმებია,
 გულს უხმო კვნესაც აღმოხდენია,
 სიხარულითაც გამცინებია,
 იმ თეთრი ქალის შუქრც მფენია
 და მერე აღარც გამცილებია...

ცა — მიკუევიჩის მაღალი შეტბლი,
 მიწა — შოპენის მთრთოლვარე გული,
 მე შევხაროდი რადომს და ლუბლინს,
 რომ გამეურნა ქვეყნისთვის წყლული.
 ვით ჩაგვეტოვნა ეს მიწა ნედლი
 მდუღარე სისხლში მოსახარშავად?...
 გვესმოდა ბორგვა პოლონელ მხედრის,
 გულნატყვიარი სწუბდა ვარშავა.

ბუგთანეე შევხედი პოლონელ მებრძოლს,
 მისი გულისთქმა როგორ არ მეგრძნო.
 ოთხუთხიანი ქუდი ეხურა
 და ჩვენს მხარდამხარ პქუნდა მეხურად
 და როგა ცხელმა ტყვიამ ღამდალა,
 თვალცრემლიანმა ყურში ჩამძახა:
 — მეცა მტკივათ შენი იარა...
 ეისლაზე იდგა ის ჩემს მხარდამხარ
 და ბერლინამდეც ჩვენთან იარა.

ჭიდილი ქართა, ვისლა და ვარტა...
 ომი სიცოცხლეს ვაზიეთ სხლავდა...
 ცას ჩამოვხიეთ სიკედილის ფარდა
 და ალსდგა ძველი მამული სლავთა.
 და დღეს კულტურის სასახლესავით
 ცამდე დიდებით ამაღლებული
 დგას პოლონეთი — ცეცხლის მკეცავი,
 უკვდავ სიცოცხლედ ატალლებული.

შევხარი მოძმის გულის ლია კარს
 და გულმა გულში გაიდგა ფესვი,
 მე მესმის მისი „ვარშავიანკაც“,
 საკომუნიზმო სიმღერაც მესმის.



სიცოცხლის შუქით მოოჭვილი ცის
თაღი მაღლდება,
ეს მზე არც ჩავა, —
ლაშაზი როგორც ჩემი თბილისი,
უკვდავი როგორც მისი ვარშავა.

შეხვედრა აქაკისთან

ცა — ვარსკვლავებით გაღვივებული,
ეხურა მიწას ცეცხლით მოფერილ,
გახარებული, გაღიმებული
შემოგვეგება მხსნელებს სოფელი.

— მობრძანდით, — გვეტყვის გოგონა კრძალეთ —
თქვენთვის ლიაა სულ ჩვენი კარი.

და მის ლაწვებზე აცელქდა მალვით
მერთალი სხივები გატრეცილ მთვარის.

შემდეგ გაცნობა და ლაპარაკი,
გთხოვთო, ვახშამი შემოგვთავაზა,
შეგცივდებოდათ, შესვით არაყი —
სუფრაზე ბოთლი დაჭდა ლამაზად.

ქალი გაღვივდა როგორც აბედი
და სთქვა: მოუსმენთ როიალს იქნებ.

დაქრა, ტებილ ხმებად ჰლერიდა გაბედეთ
ამდენხანს გულში ჩამწყვდეულ ფიქრებს.

ვარტაზე რუსი გარისკაცები
ჰანგებს მოსკოვზე ვისმენდით გზნებით,
აი, ქართველის პატივსაცემად

დაირხა ტებილი „სულიკოს“ ხმები.
ო, საქართველოს ბულბული ბერი
გეელ ვეფხებთან მოვიდა ლიმით
და პოლონელი სულიკოს ხელით
შეირხა სულის სათუთი სიში.

თევზი გოგოლევა

პარჩივის ტჰეში

ბედმა არ გაულიმა ეფრემს. ფრონტზე მისელისთან
ვე მოულოდნელად ტყვედ ჩავარდა.

„ეს ოხერი, ერთი მხეცი მაინც მომეულა!“ — ბრაზით
გაუელვა ჯარისკაცს, როცა კონდახის კვრით ობერლეიტენი-
ტოან დაკითხვაზე შეაგდეს.

ობერლეიტენანტი, რომელიც რუსულად ლაპარაკდა,
თითქოს ლმობიერი ჩანდა. ტყვეს სკამზე მიუთითა და
უთხრა დამჯდარიყო.

ტყვე ჯარისკაცს ირონიულად გაელიმა, თავი ეერ შე-
კავა და სიცილი წასკდა. რას იფიქრებდა თუ ასე ნაგეო-
ნაცემი დღეს გულიანად გაიცინებდა.

ობერლეიტენანტი განცვიფრებული მისჩერებოდა
ტყვეს და უცდიდა, სანამ იგი სიცილს მოჩჩებოდა. ჯარი-
საცმა გული იჯერა სიცილით, შავ ულვაშე ნერეიულად
გადისვა ხელი და აგდებულად გაიხედა განზე.

ობერლეიტენანტმა მკვახედ კითხა:

— რა გაცინებს?

ჭარისკაცმა ისევ გაიცინა.

— სკამზე დაჯდომისათვის, შენი გაწევეპილი ნობისათვის სინდისი და კაცობა მოგყიდო?!

— ვინ გთხოვს მაგას?!

— მაში რაღ შემომიყენეთ აქ?

ჭარისკაცმა ახლა კი კუმტად შეხედა გერმანელს. ტან-საცმელშემოძარცვულ შიშველ გულმეტდზე მიისც-მოი-სვა ხელი.

— რა გვარი ხარ?

— ისე კითხულობ, თითქო ძალიან გაინტერესებდეს... ჭორჭიყიძე ვარ. მერე რაო?

— სახელი?

— ეფრემი.

— კომუნისტი ხარ?

— რა შენი საქმეა!

— მოსწოდ! — ისტერიულად იყვირა ობერლეიტენისა და სიგარეტებით სავსე კოლოფი ზედ ცხვირთან მიუტანა ტყვეს.


ტყვემ სიგარეტი ამოილო, შშეიდად მიუშვირა ასანთს, რომელიც გერმანელმა მიაწოდა. მაღიანად და გულგრილად გააბოლა.

— გმადლობთ. — მოგვიანებით გადაუხადა მაღლობა ოფიცერს, კიდევ ერთხელ მოქაჩა ისე მძლავრად, რომ ნა-ხევარი სიგარეტი უცებ მიიწევა.

— გაიცინე კიდევ. მე დიდი ხანია არ გამიგონია სიცილი. — დაბალი ხმით თქვა ობერლეიტენანტმა. სიგარეტების კო-ლოფი და ასანთი მაგიდაზე დაყარა. ფანჯარაში გაიხედა. მაცთულხლართებს იქით მოჩანდა ძელი, რომელზედაც რამდენიმე გასანთლული თოკი იყო ჩამოყიდებული. ობერ-ლეიტენანტის თვალი არ მოშორებია ამ ძელს.

ტყვე ჭარისკაცი დუმდა. იგი გერმანელის ამლერეულ თვალებს შეჰყურებდა.

„სულელი ხომ არ ვგონივარ, უადგილოდ ვისაჩინარ.“



გაიფიქრა ეფრემმა.

ობერლეიტენანტი უცებ შემოტრიალდა და წარიასკებულოყაში სთხლიშა.

— გაიცინებ თუ არა?!... გაიცინე-მეთქი!

და ტყვეს კიდევ მართლა აუტყდა სიცილი. იმ დროს გული უტიროდა, მაგრამ მაინც როხროხებდა. სცემდნენ და ეუბნებოდნენ იცინეო.

2

ტყვეები შორ გზას გაუყენეს. დღისით ცხერებიერთ მიულალებოდნენ შიმშილით ქანცმილეულებს, ღამით რომელიმე სოფლის მახლობლად, ბანაქში შეჰყრიდნენ. მათ დაპურებაზე არავინ ფიქრობდა.

ტყვედჩავარდნილ ეფრემ ჭორჭიყიძესთან ერთად რამდენიმე ქართველიც იყო. ბელუულმართ გზაზე გაიცნეს ერთმანეთი ლევან სამსონიძემ, ნიკო გოგიტაშილმა და ეფრემმა. ისინი ერთმანეთს ამხნევებდნენ და გაქცევის გეგმას სახავდნენ.

ერთ პატარა ბანაქში ღასათევად შერეკილ ტყვეებს პოლიციელი დაერია, ტყვეები იქეთ-იქით მირე-მორეა და სამსონიძეს ეცა, შენ პოლიტხელი იქნები, უნდა დაგხვრიტოო. სამსონიძე ოფიცერი იყო, ქარგი ხალათი ეცვა და სწორედ ეს იყო მიზეზი პოლიციელი რომ ეჩხუბებოდნდა. სამსონიძე მიუხვდა რა მუცლის გვრემაც პქონდა პოლიციელს, ხალათი გაიძრო და მისცა. პოლიციელი მაშინევ გაძვრა და ბარაკებს იქით მიიმალა.

შორიდან ყრუდ ისმოდა ქვემეხების გრუხუნი. აღმოსავლეთით, თვალსაწიერზე დროდადრო ელავდა. ვარსკვლავებიანი ცა დაჟურებდა გატანჯულ სოფელს დ შიშევ მიწაზე დაყრილ ტყვეებს.

მავთულხლართებთან გერმანელი გუშაგები მიმოდიოდნენ. თითო-თითოდ არ დადიოდნენ, შიშობდნენ, უცხო მა-

წაზე კურდლის სიფხიზლე ჰქონდათ, ყოველ ბურჯული და
მალული პარტიზანი ეგულებოდათ.

ეფრემ ჭორჭივიძეს წუთით ჩამომდგარ სიჩუმეში კლავ
ჩაესმოლა ხოლმე თავისი ზომასგადასული ხარხარი. ორასო-
დეს მისთვის ცრემლსა და ონკრას ისე არ მოულბია გული,
როგორც ამ უჩვეულო საქციელმა მოულბო.

დილით ცამ ცვარი დაჭყარა და მიწაზე დაყრილ ტყე-
ებს შეაერეოლათ.

გერმანელი გუშაგები გამოიცალნენ. მავთულის ღობეს
ცალად გამოპყვა ერთი ავტომატიანი, პირტიტელი, ლამა-
ზი ჭარისკაცი. იგი შორიახლო გაჩერდა და მიწაზე წამომ-
ჭდარ ეფრემს დაუწყო ცქერა. მერე რაღაც ჰყითხა თავის
ენაზე, მაგრამ ჭორჭივიძემ ვერა გაუგო რა, მხოლოდ
სახის კეთილ გამომეტყველებაზე შეატყო, რომ იგი სამ-
ტროდ არ მოსულიყო.

ეფრემს ეგონა, ლევანს მაინც ეცადინებოდა ცოტა-
ოდენი გერმანული, მაგრამ ამან თრ სიტყვას ძლიერ მოუ-
ყარა თავი, ხელებიც მოიშველია და ჭარისკაცს გააგებინა:
გვშია და კარგი იქნება თუ რამეს მოგვიტანო.

ჭარისკაცმა გაიღიმა, მიამიტი, დამჯერი ბავშვივით და-
აქნია თავი და გაბრუნდა. ცოტახნის მერე ისევ მოადგა
მავთულხლართს და პურის რამდენიმე ნაკერი ტყვეებს
გადაუყარა, თან აქეთ-იქით იხედებოდა. შიშობდა, რომ
თავისიანებს არ დაენახათ.

სამმა დამშეულმა ტყვემ უცებ გააქრო პური. სული
მოითქვეს და - ჭარისკაცს მაღლობის ნიშნად გაულიმეს.

— იქაც ყოფილა კარგი ხალხი. — თქვა გოგოტიშვილ-
მა და მერე გერმანელ ჭარისკაცს ხელით ანიშნა, აქაურო-
ბას მოშორდიო.

ჭარისკაცი მიუხვდა განზრახულს და ძლიერ გააგები-
ნა, რომ ამათა შენი ფიქრი გაქცევაზეო.



რამდენიმე დღის შემდეგ ტყვეები ერთ ადგილზე კუთხად ჩამოასხმა. დაბალ, თეთრიად შეფეხქილ სახლიდან გრძელი ჰაუფმანი გამოვიდა ორი თათრის თანხლებით. ერთ ერთი თათარი თარჯიმანობდა, გერმანულსა და რუსულს თვისებურ კილაზე ამახინვებდა.

— პარტიზანების წინააღმდეგ რაზეს ეაღეცი და კი გრძათ წასელა? — მიმართა ტყვეებს ჰაუფმანმა. თათარი მა გადმოარესულა.

გოგოტიშვილმა მუჯლუგუნი ჰქონა ეფრემს და ურჩია, ჩაეწეროთო.

ამის გაგონებაზე ჭორჭიყიძემ თვალები დაუბრიალა ამხანავს.

— რას ამბობ, ოხერო? — ქმილები დაუკრაჭუნა და ეს, თავის სიცოცხლეში პირველად ნათქვამი „ოხერო“ ამ წუთებში მეტად მოეწონა.

— ოხეროც ხარ და სულელიც! — ცოტა რბილად შეუწყრა გოგოტიშვილი, — ჩაც ჩვენ გვინდა, ის გვისრულდება, ბიჭო... გაგვიყვანენ, იარაღს მოგვეცემენ. თავისუფლად ვიგრძნობთ თუ არა თავს — მაშინვე მოვუსვამთ.

ჰქუაში დაუჭდა ამხანავის ჩჩევა ეფრემს, მაშინევ თან გაიყოლა გოგოტიშვილი და გერმანელი ოფიცირის წინაშე პირველი წარსდგა. სხვებიც გამოვიდნენ. გოგოტიშვილსა და ჭორჭიყიძეს ლეიტენანტი სამსონიძეც ამოუდგა გვერდში.

— ჩა ეროვნების ხართ? — ჰქითხა ჰაუფმანმა წინ წამომდგარ სამეულს.

თათარი კატის თვალებით სჭამდა სამ ვაკეაცს და როცა ეფრემისაგან შეიტყო, რომ ქართველები იყვნენ, თავისი მსუქანი ტუჩები გერმანელი ოფიცირის ყურთან ააბურტუს. მაშინ ჰაუფმანმა უთხრა სამეულს, თქვენ არ გვინდიხართო.

— რაღაც უთხრა მაგ ტილიანმა, — კბილები გააკრა-
ჭუნა გოგოტიშვილმა, — ხედავ, არ გვენდობიან. რა გვისა-
და დაცვესებული თვალებით თავის ამხანაგებს შეხედა.
რას იზამდნენ. ბედს შეურიცდნენ, თავები დახარეს და
ბურტყუნით გატრიალდნენ.

მეორე დღეს, როცა ეფრემს გამოელვიძა, მის გეერდით
გოგოტიშვილი ალარ იყო. ფარლალა ბარაში დარჩენილ
ტყვეებს გადახედა, ლციტენანტი შეაღვიძა და ჰეითხა, ნი-
კა რა იქნაო. მაგრამ სამსონიძემ არა იცოდა რა ამ ცეცხ-
ლა-ბიჭისა.

4

ეფრემი ორმოცი კილომეტრით დააშორეს ფრონტის
ხაზს, დასავლეთისაკენ საბარგო მანქანით წაიყვანეს და ისევ
ტყვეთა ბანაკში ამოაყოფინეს თავი. აქ დიდხანის არ გააჩე-
რეს, სხვა ტყვეებთან ერთად მატარებელში ჩასვეს, საბარგო
ვაგონში ჩატკეტეს და სამი დღე და ღამე კარი არ გაუღეს.
ბოლოს, ვიაზმის მახლობლად, ერთ სოფელში გადმოსევეს.
აქაც ბანაკი იყო. დილდილობით სამუშაოდ მიერცებოდნენ.
საღამოხანით, ბანაკში რომ ბრუნდებოდნენ, გზაში კარ-
ტოფილს თხრიდნენ, ბანაკში მოპერაციათ, ხარშავდნენ და
სულს იბრუნებდნენ.

5

ტყვეებს ერთ ადგილზე დიდხანის არ აჩერებდნენ, რამ-
დენიმე დღით ჩაამწყვდეედნენ საბარგო ვაგონებში და
დასავლეთისაკენ მიარახრახებდნენ: ვარშავა, ბერლინი,
ბუქენვალდე...

მავთულხლართები, შავი ბარაკები, ორასი გრამი პური,
თოფის კონდახი.

ბუხენვალდეს დიდ ბანაკში დღეში სამასი კაცი კვლებოდა
შიშმილით.

ამ ბანაუში ხუთი დღე იყო ჯორჯიერი და ხუთი წელი არ სძინებია დაშვეიდებით. ბორგავდა, დრტუინაც და გა საქცევ გზას ეძებდა. მაგრამ სად იყო ეს გზა. სიცდილის მოციქულთ მაგრად ჩაედატნოთ თავისუფლების სანატრელა კარები.

ომის დაწყების პირველ ხანებში გერმანელი ფაშისტები უმოწყალოდ სტანჭავდნენ და ხოცავდნენ ტყვეებს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ომი მალე დამთავრდებოდა, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდათ. ბრძოლები გრძელდებოდა და გერმანელებისათვის არც თუ სახარბიელო სახეს იღებდა მეორე მსოფლიო ომის სურათი. გერმანელებს ჯარი შემოაკლდათ. გაფაციურებით დაიწყეს ანტისაბჭოთა ელემენტების ძებნა, რომ თავიანთი შეფერთხილი დივიზიები შეეცით. ასეთები ტყვეთა შორის ცოტანი აღმოჩნდნენ. ვინც „მოხალისედ“ მიღიოდა, მათგან ზოგს ფარული მიზანი ჰქონდა, ხელთ ეგდო იარალი და პარტიზანებს შეერთებოდა.

აქაც მოტყუვდნენ ვარაუდში ფაშისტები. მაშინ სხვა გზას დაადგნენ. დაიწყეს ეცროპაში ემიგრანტების შეგრძელება, ჩამოაყალიბეს საბჭოთა რესპუბლიკების „მთავრობები“ და სახელდახელოდ გამომცხვარ „მინისტრებს“ უთხრეს: მოაგროვეთ თქვენ თქვენი ეროვნების ხალხი, შეაღგინეთ ნაციონალური ჯარები და ამ ძალებით გაანთვისუფლეთ თქვენი სამშობლოო. რუსებს ქართველების წინააღმდეგ ამხელრებდნენ, ქართველებს რუსების წინააღმდეგ....

გერმანელთა ამ მზაცვრული პროპაგანდის ანქესს ბევრი ემიგრანტი წამოეგო, განსაკუთრებით თეთრგეარდიელთა და მქონებელთა შვილები. მათ ოცნება დაიწყეს თავიანთ ყოფილ მიწაწყალზე გაბატონებისა. გერმანელთა დახმარებით შექმნეს ნაციონალური ბანაუში.

ასეთი ბანაუი ქართველებსაც ჰქონდათ პოლონეთში.

და აი, ეფრემიც ტყვე ქართველთა ბანაუში მოხვდდ. როგორც სხვები, იგიც ბრძანებით ჩარიცხეს „მოხალისეთა“

ბატალიონში და გზას გაუყენეს. სადგურ ქრუმინაში, ქალაქ როდომიდან ოციოდე კილომეტრის მოშორებით, გადმისახეს ტყვეები და ბარაკებში შერეაეს. აქ იყო ქართველ მეომართა ლეგიონი. ძველ ლეგიონერებს სამფეროვანი სამკლავურები ექვთათ წარწერით: „გეორგია“, „საქართველო“.

ახლადმოსულები აბანოში წაიყვანეს. თბილ წყალს დანატრებული მებრძოლები კარგა ხანს არ გამოიიოდნენ აბანოდან, არც არავინ აჩქარებდათ და ისინიც ნებიცრობდნენ.

ეფრემმა ძვლები მოითბო, შემსუბუქდა, გახალისდა და მერე ახალი ტანსაცმელი ჩაიცა, რომელიც აბანოში შესვლამდე მისცეს. როგორდაც მოირგო ფრანგული ფრენჩი, გერმანელი ჯარისკაცის შარეალი, რუმინული ქუდი... ფერსაცმელი კი, ეშმაკმა იცოდა, რომელ ქვეყანაში იყო შეკერილი. იმსისქე ლანჩი ჰქონდა, სალდას მთელი ქვეყანა რომ შემოვლო — გაცვეთა არ შეეტყობოდა.

მეორე დღესეე დაიწყო საბრძოლო წვრთნა.

როგორც კი იარაღი მოიგდო ხელთ ეფრემმა, გადაწყვეტა გაქცევა, მაგრამ აჩქარებით რომ თავი წაეგო, ესეც არ უნდოდა; მეორეც, პოლონეთის იმ მხარეს არ იცნობდა, არც იმ ქვეყნის ენა იცოდა. საჭმე უთუოდ დაიღუპებოდა თუ მარტო გაიქცეოდა. იმიტომ დროებით ბედთან შერიგება არჩია, გაიცნო და დაუმევობრდა ერთ გურულს, არჩილ კეპაყმადეს, სხვებსაც შეეთვისა.

ლეგიონის ფიცი მიაღებინეს. ფიცის მიღებისას საჭ თითს აწევინებდნენ მებრძოლებს. და თუ მანამდე ჯარისკაცა თხეთმეტ ზლოტს იღებდა ჯამაგრად, საში თითის აწევის შემდეგ ოცდაათი დაურიგეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლეგიონი გადაახალისეს და სეულებად დაყოფილი გაგზავნეს პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში.

ეფრემი თავის მეგობარ არჩილ კეპაყმაძესთან ერთად ქალაქ პარჩევში მოხვდა. გორჯიკეს უხაროდა, რომ პო-

ლონელებთან ახლო იყო, ენასაც შეისწავლიდა და ადგრძელებდა მდებარეობაშიც გაერჩეველია.

პარჩევი პატარა ქალაქი იყო. ქალაქის ნახევარი გერბის ნელებს მთლიანად აეოსრებინათ, რადგან აქ მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ებრაელები შეადგენდნენ. ფაშისტებს დიდალი ებრაელები გაეცლიტათ, ხოლო, ვინც ცოცხალი გადარჩა, ტყისთვის მიეცა თავი.

ქართველების ასეულის ჩამოსვლის ცუდად არ შეხვდნენ პოლონელები.

ეფრემი თვენახევარი იყო პარჩევში. გერმანელები ხელყუმბარებსა და ვაზნებს გამოზოგვით აძლევდნენ ლეგიონერებს, მაგრამ ეფრემმა ერთ ღამეს ორასი ვაზნა და ექვსი ხელყუმბარა მოიპარა, საიმედო ადგილას გადამალა. მის ყურამდე მიეიდა ამბავი, რომ ტყისპირას პარტიზანები გამოდიოდნენ და ლეგიონერ პატრულებს თავისკენ იხმობდნენ, მაგრამ თვითონ ეფრემს ჯერ არავინ შეხვედროდა.

ლეგიონერთა ერთმა ათეულმა, რომელიც ქალაქის მახლობლად ხე-ტყის ქარხანას იცავდა, ლამით დასწევა ქარხანა და გაიქცა.

— რაღას ვუყურებთ, ჩვენც გაეიქცეთ! — წამოენოო კეჭაყმაძე.

ეფრემსა და მის ამხანაგებს გაქცევის გაგმა ცოტა სწიო ჩაეშალათ. ისინი სოფელ მილანოეში რომელილაც გრაფის ბამულის დასაცავად გაგზავნეს.

გრაფის ბამულიდან საშასიოდე მეტრის მოშორებით ტყე იყო გადაჭიმული. ბამულში მომუშავე პოლონელებს არაფერს უმაღლავდნენ ქართველი ლეგიონერები და ეუბნებოდნენ, რომ დღეს თუ ხვალ ტყეში გაიჭრებოდნენ პარტიზანებთან. პოლონელები რატომლაც ყოყმანობდნენ და ლეგიონერების მეგზურობას თავს არიდებდნენ.

ქართველებმა გერმანელთა ნდობა ვერ გაამართლეს. ლეგიონი თანდათან იცლებოდა. მაშინ ფაშისტებმა დარჩენილი ნაწილის შორს გადასროლა გადაწყვიტეს.

დადგა გაქცეულს დრო. საჭირო იყო სამიერო შეგრძელების სოფლის განაპირობების ცხოვრობდა ჭორვიერის ანაკუთხამში პოლონელი გლეხი ვლადისლავ იუზოვესი. მოხუცი მოხარუოთანი პატარა სახლი ჰქონდა. მუდამ მარტო იყო და გრაფის მამულში მუშაობდა.

ჭორვიერი დაბინდებისას მივიღა მასთან. მოხუცი თავისთვის ჩიჩიმაგურობდა. სტუმარი მოსწრდილ თახში შეიყვანა და სკამი დაუდგა.

— დაბრძნდი, პანე ეფრემ.

ეფრემმა უთხრა რისთვისაც იყო მოსული.

— ან აქვე დავიხოცებით, ან პარტიზანებთან უნდა წავიყვანო.

— ღმერთმა გისმინოს. ყველაფერი ღვთის ნებაა. — ვლადისლავმა პირველი გამოისახა, მერე თავისი საქმე განაგრძო. მოხუცი რაღაცას ჩორქნიდა და სტუმარს ზედაც არ უყურებდა. ეფრემი გაბრაზდა.

— არ მენდობი?!?

მოხუცი დუმდა.

— ეჭ, მოხუცო... არ გინდა ალბათ, რომ პოლონეთი თავისუფალი იყოს. ჩეენ, თხუთმეტი ბიჭი, პარტიზანებისათვის კარგი ძალა ვიქნებით. თხუთმეტ ფაშისტს მაინც მოკლავთ.

ეფრემი წამოდგა, დიდრონი მუშტები მაგიდაზე დალაგა.

— რაო, რა თქვი? — ქვეშ-ქვეშ გამოიხედა მოხუცმა, — მე არ მინდა, რომ პოლონეთი თავისუფალი იყოს?!

წელში შესწორდა, მეორე თახის კარს თვალი მიაპყრო და დაიძახა:

— რაძი!

მოისმა ნაბიჯების ხმა. მალე კარებში გამოჩნდა ვაჟურად ჩაცმული პოლონელი ქალიშვილი, ლამაზი შესახედაობისა, მაღალი, ოცი-ოცდაორი წლის იქნებოდა. ეფრემს თავი დაუკრა.

— ეს ჩემი ქალიშვილია. ორი ვადი პარჩევის ტყეში წევს
საშობლოსათვის თავდაცებული. იქნებ გვონია, ზურ ანუ
ფერს ვაკეთებ, მხოლოდ ამ ხეს ეჩორქი და გრაფს უემსა
ხურები?

მოხუცს სახე წამოეგზინო. ეტყობოდა ძალზე ეწყონა
ეფრემის სიტყვები.

ქალიშვილმა ხელი ჩამოართვა ეფრემს და თავისი
მგრძნობიარე, მრავლისმეტყველი თვალები შეანათა სახეში.

— მე წაგიყვანთ პარჩევის ტყეში. წამოდით თხუთმე-
ტივე. ზოგი თქვენი იქ არის.

— მართლა?!. მერედა, თქვენ პარჩევის ტყესთან რა
კავშირი გაქვთ?

ააძიმ რევოლუცირი ამოილო ჭიბიდან, დიდრონი თვალები
გამოუთქმელი სევდით იეცსო და თქვა:

— ამას რა კითხვა უნდა!

მოხუცი უბრად იდგა, ეტყობოდა რაღაცას ფიქრობდა.

— დასწევით გრაფის სახლ-კარიც, — მიუბრუნდა მამა
იაძის, — დახოცეთ ფაშისტები. დროა წაციდეთ აქედან.
მეც თქვენთან ვიქნები, როგორმე შევძლებთ თავის გატა-
ნას.

მოხუცი შეჩერდა. უცებ მზერა გაუსწორა ეფრემს და
მტკიცედ მიმართა:

— მეთაურობას შესძლებ?

ეფრემი შეირხა, მოხუცის მზერას ვერ გაუძლო და ფან-
ჯრისაენ გაიხედა წუთით, მერე ისევ მოხედა ვლადისლავს.

— ვნახოთ. ბიჭებს მოველაპარაკები. მგონი შევძლებ.

გვიან ღამით გრაფის მამულში ცეცხლი ივარდა. პატარა
გარნიზონის ყაზარმასთან რამდენიმე ავტომატმა მოკლედ
გაიტკაცუნა.

სოფელში ძალები ყუეფდნენ.

პარჩევის ტყისკენ ტყიაწამლით დატვირთული და ავტომატიზაციით შეიარაღებული ჩვიდმეტი კაცი მიღიოდა.

7

ეფრემის პატარა ჩაზმი ადგილობრივ პარტიზანულ რაზმს შეუერთდა. პარტიზანებს შორის სხვა ქალებიც იყვნენ, მაგრამ იაძის შესადარი არავინ იყო.

ეფრემი და იაძი მალე დამეგობრდნენ. ახალგაზრდა ქალი მალე შეეთვისა ბუნებით მამაცსა და მრავალჭირნახულ ვაჟკაცს. იაძი ცდილობდა ხშირად ყოფილიყო თავისი მეგობრის გვერდით. თავისუფალ დროს ჩამოუჯდებოდა და სთხოვდა ეამბნა საქართველოზე, ემღერა რაიმე ქართულად.

ეფრემი ყველაფერს უსრულებდა.

ერთ საღამოს პარტიზანები პატარა კოცონს მისჯდომოდნენ. ეფრემი და იაძი განმარტოებით საუბრობდნენ. გარშემო სრული სიმყუდროვე იღვა. ჩუმად შრიალებდნენ ხეები. მთეარის სხივები აღმაცერად იჭრებოდა ხშირ ფოთლებში და უცნაურ ჩრდილებს აფენდა ხავსა და აქა-იქ გაფენილ მოლზე.

დარღი შემოაწეა ეფრემს. გული უცნაურად უცემდა. ასეთი ადამიანური განცდა დიდი ხანია არ ეგრძნო მეტ ცხოვრებას შეჩვეულს და გაწამებულს. საშინლად მოუნდა გაეგონა რაიმე შშობლიური, ახლობელი. კეტავმაძე იხმო, მხარზე ხელი დაადო და შეევედრა, იმღერე რამეო. კეპაყმაძე დაიშვანა, სიმღერის არაფერი გამეგებაო. მაშინ ეფრემი წელში შესწორდა, ღრმად ჩაისუნთქა პაერი, ყელში ცრემლი მოებგინა და შინაგანი მღელვარებით სავსე ზარივით წმინდა ხმით წამოიწყო:

საყვარლის საფლავს ვეძებდი...

დახუჭა თვალები, თითქოს სურდა წამიერად დაევიწყა სინამდვილე. მის ხმაში ერთად ჩაქსოვილიყო საშშობლოსა-

გან განშორებით გამოწვეული სევდა, ადამიანური რეგისტრის წყურებით, ვაკეაცის შემმართებლური ეგისტრის ლება და უსაზღვრო სინაზე.

როცა ეფრემმა თვალი გაახილა, შენიშნი, რომ მას გარე შემო პარტიზანებს წრე შევერათ. მათ გაქვავებულ მკაცრ სახეებზე ლრმა სულიერი ტანჯვის და სევდის გამომეტყველება შენიშნა. ერთ მებრძოლს პატარა ქვაბურა კვეშა თურთ ხელში შერჩენდა და გაშტერებული გაჟურებდა სივრცეს. იაძი კი მონუსხულივით გარინდებულიყო, ისე დაც ფერმიხდილს მთვარის შუქზე სახე სრულიად გაფითრებოდა.

მაგრამ ყველაზე საოცარი სანახავი ვლადისლავ იუზოვსკი იყო. მას თავი მაღლა აეღო, თვალებიდან ღეარად წამოსული ცრემლები უხვად ეცემოდა წვერ-ულვაშე და ისეთი სასოებით შესცემროდა ეფრემს, თითქო ლოცულობს.

ეფრემმა მიმოიხედა. კადევ უფრო ეტკინა გული. იგი პირველად მიხედა, რაოდენი სითბო და სინაზე, რაოდენი ადამიანურობა იმალებოდა მის გარშემო მყოფ მებრძოლებს შორის.

სიჩუმე იუზოვსკიმ დაარღვია:

— აცი ყოფილხარ, შვილო. ეგ სიმღერა ადრეც გამოგონია, ეციოდი, მაგრამ... თითქოს ახლა უფრო მივხედი, რომ სამუდამოდ დავკარგე შვილები.

იაძი კვლავ გარინდებული შეჟყურებდა ეფრემს.

„იაძი, კარგო. რად მიყურებ ასე, რაღაც სხვანირად... მე ვიცი, ვხვდები, ეგ თვალები სიყვარულს მოითხოვენ. ნუ, ნუ იზამ ამას, იაძი. მე მყავს ცოლი, შვილი... ისინი ჩემ გან შორს არიან, მაგრამ მაინც ჩემს გულში აქვთ ბრა. იაძი, კარგო!“.

პარტიანთა დივერსიული ჯგუფი, რომელსაც ეფრემ
ჯორჯიები მეთაურობდა, გზისპირას ჩასაფრდა.

სანამ მანქანები გამოივლიდნენ, გზაზე მოტოციკლებმა
ჩაიქროლეს. გერმანელმა პატრულებმა ტყეს ძეგლ-იქით
მიაყარეს ტყვია და თვალს მიეფარნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ორი საბარგო მანქანაც გამოჩნდა,
ზედ ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცები ისხდნენ. მეორე
მანქანის კაბინაში ოფიცერიც იყო.

პარტიანებმა მოულოდნელად გახსნეს ცეცხლი. გერმა-
ნელები გონის მაშინ მოვიდნენ, როცა ტყვედ იგულეს
თავი.

ობერლეიტენანტი, რომელიც უვნებელი გადარჩია, ტუ-
ჩებს იყვნეტდა და კატისებურ თვალებს ძეგლ-იქით აც-
ცებდა ზიწლით.

ავტომატით შეიარაღებული ტანადი პარტიანი, მიუ-
ახლოედა და გერმანულად მიესალმა. ობერლეიტენანტმა
არაფერი უპასუხა. იგი ნერვიულად ქრუნჩხავდა თითებს.

— მიუანი? — ჰკითხა პარტიანმა.

ოფიცერმა წარბი შეჭრა და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— აი, ხედავ, სად შევხედით ერთმანეთს.

და ყველასათვის მოულოდნელად ჯორჯიები ისე გადი-
სარხარა, რომ მისი ხმა ტყის სილრმეში შეჭრილ ბრძოლის
გუგუნში გაისმა.

ობერლეიტენანტი უცებ შეძრწუნდა, შეცბა და თვა-
ლები ლამის გადმოუცვივდა. ეფრემი უფრო ახლოს მივიდა
ტყვესთან.

— გახსოვს, რომ მითხარი, იცინეო. აი, მეც ვიცინი.

ეფრემმა იაძის გადახედა, რომელიც თავის მეთაურს სხვა
პარტიანებივით გაკვირვებული უყურებდა.

ჯორჯიები ისევ ტყვეს მიუბრუნდა.

— აძა, მოსწიე, იქნებ გესიამოვნოს. — უთხრა და
ქისა წეკო გაუწოდა.

6. ქართველი. მწერლები პოლონეთს.

— წამიუგანეთ და დამხერიტეთ! — ამაყად შემსრულდა თავისი სი-
ვი ობერლეიტენანტმა და პირდაპირ სახეში შეხერა პარ-
ტიზანების მეთაურს.

იაძის გაეცინა.

ობერლეიტენანტს უნდოდა დაემტეიცებინა თავისი სი-
მამაცე, თავგანწირულება. მას ამით სურდა დაეცვა ოფიცირის
ლირსება, მაგრამ შეშინებულმა ღირსეულად ვერ გამო-
სატა ეს. იგი სასაკილო იყო და იაძიც გულიანად იცინოდა.
ეფრემმა ქისა ჭიბეში ჩაიდო.

— ესეც შენი ხურდა. — შეუძახა მან ტყვეს და ხელი
მოიქნია. გაქნეული ხელი ოფიცირის ცხვირწინ შეათამაშა.

პარტიზანების მოლოდინში გაპამპულებულმა ფაშისტება
ბრიყვულად აახამხამა თვალები.

პარტიზანები ხარხარებდნენ.

— იცინეთ, იცინეთ! — შეპყივლა ობერლეიტენანტმა და
მიწაზე დამხო თავისი ჯარისკაცების ფერხთით.

პარტიზანებმა ტყვეები გაირჩეს და ტყეში შელალეს.

9

იაძი თავისუფალ შუთებში დღიურს წერდა ხან
ბევრს, ხან ცოტას. იყო დღეები, როცა საწერი არაფერი
არ ჰქონდა. თავის დღიურს არავის აკითხებდა და მუდამ თან
დამკონდა ჩანთით. ეფრემს და სხვა პარტიზანებს პოლონერს
ასწავლიდა. ბეჭითი მოწაფეები გამოადგნენ ქართველები.
იაძი ძალზე ბედნიერი იყო, რომ მათ თავის შშობლიურ ენა-
ზე ელაპარაკებოდა, გამსაუთრებით მოსწონდა ეფრემის
კილო.

ერთხელ, ლიანდაგის დანალმეის დროს, პარტიზანებს
სროლა აუტეხეს გერმანელმა პატრულებმა. ამ შეტაკე-
ბის დროს მძიმედ დაიჭრა იაძი. პარჩევის ტყემდე ეფრემმა
ხელში ატატებული ამოიყვანა და ხელშივე შეაცივდა პარტი-
ზანების მამაცი და საყვარელი გოგო.



იმ დროს კლადისლავ იუზოვსკი ცოცხალი აღარ იყო და
ასის ნიეთები ეფრემს დარჩა. კარგახანს არ გადაეშალა
მეგობარ გოგონას დლიური. ერთ დღეს ნალვლიანად გადა-
ფურცლა იგი და ილაგ-ალაგ ამოიყითხა:

“ წუხელ ლუბარტოვის ტყიდან წამოვედით „შინისკენ“. გზაზე სოფლებში გერმანელებს აურიეთ. მდინარეზე ბორ-
ნით გამოვედით და სოფელ ბერენიცასთან ტყეში შევჩერ-
დით. სოფლიდან ბანდიტებმა აგვიტეხეს სროლა. სოფელი
„დაებომბეთ“.

“ გუშინ პარჩევის ტყე დაეტოვეთ, რადგან ცნობა მიეი-
ლეთ, რომ გერმანელები გაზით გვიპირებდნენ ამოხრჩო-
ბას. ფურმანებით ოცდაათი კილომეტრი გავიარეთ აღმო-
სავლეთით. ახლა ახლოს რაღაც ხმაური და სროლა ისმის.

“ ბანდიტებს ეესროდით. ჩვენში პატარა ტყეებია და ცხოვ-
რება გვიძნელდება, ყოველ წუთს სიკედილს ველით და ამ
მოლოდინში მე მაინც მიხარია რაღაც. ალბათ ეს სიხარული
ეფრემის სიახლოვითაა გამოწვეული. ისკი გულჩათხრობილია
რატომღაც. როცა პარტიზანებს შესვენება აქვთ, ყველას ერი-
დება და მიდის ტყეში მარტოდ-მარტო სახეტიალოდ.

“ ეფრემი ხის ძირას იწვა და ცას შეჰყურებდა. მიეუა-
ხლოვდი. ჩვენ ყველასაგან მოშორებით ვიყავით. მე მასთან
ახლოს დავჭექი. მან ჩემი ხელი ხელში დაიჭირა და მითხრა,
რომ მე კარგი, ძალიან კარგი გოგო ვარ, ლამაზი და ყოჩა-
ლი. სხვა არაფერი უთქვამს, ლრმად ამოიოხრა, წამოჯდა,
თავზე ხელი გადამისვა და დიდხანს ასე ვიყავით უბრად. მას

არ მოსწონს, როცა პარტიზანები უსაქმირად ვართ, მრავალში იგი თავზეხელალებულია.

შეიდი ნოემბრის წინდღით, დღესასწაულის იღსანი-შნავად, გერმანელების ერთი ეშელონი ავაყირავეთ. ეჭ-სი კაცი ვიყავით. ჯგუფს ეფრემი მეთაურობდა. არ ვიცა რათ იყო ეს გამოწეული, ეფრემს ვაკოცე და ერთ წუთს არ მოვშორებიყარ მის მკერდს. მან ხელი არ მომკიდა, მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვიყავი.

ახალი წელი დგებოდა. რამდენიმე პარტიზანშია ტყეს შევაფარეთ თავი.

მეჩერ ტყეში ღამითაც სინათლე იდგა თოვლისა და მთევარისა. ნახევრადმიწური თაეშესაფარი გავაკეთეთ, ჩინ-ჩევარის სახურავს თოვლი დავაყარეთ და ერთმანეთის სია-ხლოებით გაეთბით. ჯგუფში მარტო მე ვიყავი ქალი და მა-ფრთხილდებოდნენ. განსაკუთრებით ეფრემი ზრუნავდა. ჩემ-ზე. მე არ ვიცი, დღესაც არ ვიცი, რას მოასწავებდა მისი ჩემდამი ასეთი ალერსიანი დამოკიდებულება.

— ეფრემ, ახალი წელი დგება. — წავჩურჩულე მე.

— ცულად გვითენდება. — ამოიოხრა ქეჭაყმაძემ.

ეფრემმა თავის მაჯის საათს დახედა. ფოსფოროვან ცა-ფერბლატზე ისრები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ. შუა-ლამე დგებოდა.

ეფრემი ქოხიდან გავიდა. მისი მოყვანილი ფიგურა კარგა ხანს გაუნძრევლად იდგა ქოხის შემოსასვლელში.

— გამოდით. — დაგვიძახა ცოტა ხნის შემდეგ.

მიგვიყვანა ერთ მომტრო ნაძვის ხესთან, მოისსნა თა-ვისი ავტომატი და ამ ხის ტოტზე ჩამოჰკიდა.

— მოვრთოთ და ახალი წელიც დაეიყენოთ. — თქვა ღიმილით.

ჩელუუმბარები, — ხე-
ზე ჩამოვყიდეთ.

კეჭაყმაძეს ჯიბეში ორი კამფეტი აღმოაჩნდა, ერთი მე
ჩამიღო პირში, ასე ტქბილად დამიბერდით, მეორე ნაძვის
ხის „მორთულობას“ მიუმატა.

ზუსტად თორმეტ საათზე ერთმანეთი გადავკოცნეთ, ჩავ-
კიდეთ ხელი და ნაძვის ხეს დავუარეთ. უცებ, ტირილი ამი-
ვარდა, ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამომდიოდა. თან ვტიროდი,
თან ამხელა ვაუკაცების სიმღერას, ბავშვეურ სიმღერას ვუ-
ერთებდი ჩემ ხმას. ეფრემიც მღეროდა. მას მეტად ტქბი-
ლი ხმა აქვს. იგი სულ სხვაა ასეთ წუთებში. დაუკაცყარი
იქნება ჩემთვის, ეს ხალისიანი, ბეღნიერებით აღსავსე ლამე“.

ეფრემმა მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და რეეცლი
დახურა.

ს ა რ ჩ ი ვ 3 0

პათლი იაშვილი

უეცარი ლექსი — პოლონეთის	5
ვიორგი ლეონიძე	
ადამ მიცეცეინის	7
სიმონ ჩიქოვანი	
პოლონეთის გზაშე	9
პეტერი და მიცეცეინის	20
შოპენის სოფლისაკენ	22
ურალელი გრიგოლ უწინავინი პოლონეთში	24
მეშანტის სიტყვა	26
საბჭოთა მეცენატე პოლონეთში	28
ეროულავში საბჭოთა ოფიცეპის სასაფლაოზე	30
ხმების შემურბენი	32
ეროულავის ვაგონმშენებელი ქარხნის სტანციები ქალს	34
კრაქოვში	36
მოსავლის დღესასწაული კრაქოვში	38
ლენინის სახლი სოფელ პორონინში	40
გორის სახლი პორონინში	42
გზაშე თქმული	44
გურალები	46
ზღვის თვალი	48
ტატრებში ბაეშეებთან საუბარი	49
მთის მდინარე	50
ხალხური ცეკვა	52
ბარათი ტატრიდან	53
მეორე ბარათი	55
შევიღობის ესტაფეტა	57
თემიშვილის ჯანგულაშვილი	
პოლონეთის გზებშე	59
პოლონეთთან გამოთხოვებისას თქმული	61
თბილისელები ეროულავში	62
პოლონეთი	64
შეხვედრა აკაკისთან	
თენგიზ გოგოლაძე	67
პარჩევის ტყეში	68

რედაქტორი გ. მაღრაძე
 მხატვარი თ. გომიარიანი
 მხატვრული რედაქტორი ჭ. უკვეთვილი
 ტექნიკური რედაქტორი ზ. ხუნდაძე
 კორექტორი ვ. კუპრაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/VIII-59 წ.
 ქალალდის ზომა $84 \times 108^{1/2}$. ნაბეჭდი თაბაზი 4,51.
 სააღრ.-საგამომც. თაბაზი 2,72.
 სააერორი თაბაზი 2,55.
 ტირაჟი 5000. შეკვეთი № 693.
 ფასი 2 ბაზ.

*

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
 მთავარპოლიგრაფგამოშეცემლობის 1-ლი სტამბა.
 თბილისი, ორწონიერის ქ. № 50.

1-я типография Главполиграфиздата
 Министерства культуры Грузинской ССР,
 Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.



Сборник
Грузинские писатели о Польше
(На грузинском языке)
Государственное издательство
«Сабчота Сакартвелов»
Тбилиси
1959

374/386

